



ქვეყნის მთავრობის

პროლეტარებო ეველბ ქვეყნის მთავრობის

♦♦♦♦♦ ფ ა ს ი ♦♦♦♦♦
 კერძო პირთათვის 10.000 მანეთი.
 სახელმწიფო დაწეს. 7.000 მანეთი.

წელიწადი
მეორე

მოამბე

შაბათი,
თებერვლის 11.
1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 28

ყოველ კვირეულ ორგანო.

№ 28

მიიღება ხელის მოწერა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველ კვირეულ ჟურნალ

„მოამბე“-ზე

1922 წლის პირველ იანვრიდან ჟურნალი თვეურად ეღირება პარტიულ, სახელმწიფო და პროფესიონალურ დაწესებულებათათვის თვეში 28,000 მანეთი, (ცალკე ნომერი 7,000 მ.), კერძო პირთათვის თვეში 40,000 მან. (ცალკე ნომერი 10,000 მან.).

ჟურნალში მოსათავსებლად მიიღება განცხადებანი, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, აგრედვე კერძო პირთაგან.

უველა მოქალაქე ვალდებულია „მოამბე“-ში მოათავსოს განცხადება პირადობის დაგამტკიცებელ მოწმობის დაპარგვის შესახებ.

რედაქცია ღიაა დღის 8 ს. შ საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6-90.

ოფიციალური განყოფილება

დებრეტი № 88

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა.

საფონდო კომისიის შესახებ.

სამუშაო ხელფასის ფონდების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან მოეწყოს საფონდო კომისია, შემდგარი ექვსი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავენ (თითო-თითოს) სახალხო კომისარიატები: სასურსათო, შრომისა და ფინანსთა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგების განყოფილება, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მუშათა კოპერაციის ცენტრი.

შენიშვნა 1: საფონდო კომისიის პირად შემადგენლობას დამტკიცებს ეკონომიური საბჭო;

შენიშვნა 2: საფონდო კომისიის წევრებს დაენიშნებათ მუდმივი მოადგილენი, რომელთაც დამტკიცებს ეკონომიური საბჭო;

შენიშვნა 3: საფონდო კომისიის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს დანიშნავს ეკონომიური საბჭო კომისიის წევრთაგან.

2. საფონდო კომისიის დანიშნულებას შეადგენს:

ა) აღწესდეს და ხელუხლები მიკუთვნება სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდისათვის სასურსათო და ფართო მოხმარების საგნებისა და ფულის ნიშნებისა;

ბ) განაწილება სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდისა, — შრომის სასყიდლის მომქმედი ნორმების თანახმად, — მომხმარებელთა ცალკე ჯგუფებ შორის, რომელნიც სახელმწიფო მარაგზე იმყოფებიან და აგრეთვე მაზრებსა, ქალაქებსა და რაიონების შორის;

გ) დაწესება ფასის პროდუქტებისა და საქონლისათვის რაც სამუშაო ხელფასის ნატურ-ნაწილად გაიცემა;

დ) განსაზღვრა იმ საწარმოო და სხვა დაწესებულებათა, რომელთა მუშა-მოსამსახურენი გადაყვანილ უნდა იქნენ სახელმწიფო მომარაგებაზე ან მისაგან გამორიცხულნი;

ე) განხორციელება სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების რიცხვის შემცირების განსაზღვრულ ნორმამდე და

აგრეთვე შემუშავება ამ ნორმების უმეტესად შემცირების პროექტისა გარემოებათა ცვლილების მიხედვით;

ვ) თვალყურისდინა, რათა სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდში მისი ცალკე ნაწილების თავის დროზედ შედიოდეს.

3. საფონდო კომისია დაანაწილებს სამუშაო სახელმწიფო ფონდს:

ა) მთავარ განყოფილებებსა, სამმართველოებსა და უწყებებზე — დაწესებულებათათვის (რომელნიც სახელმწიფო მარაგზე იმყოფებიან) — მთელი უწყების შტატის მიხედვით; საწარმოო დაწესებულებათათვის — კი საბიუჯეტო სანაჭრო სისტემით, ხოლო იმ პირობით, რომ გადამეტებული არ იქნეს ამა მრეწველობის მთელი დარგისათვის დაწესებული შტატები;

ბ) ცალკე საწარმოო და სხვა დაწესებულებებზე: ამასთანავე ქალაქებისა და მაზრების ხვედრი ნაწილები შეერთებულ უნდა იქნეს, შრომის სასყიდლის ნორმების მიხედვით, იმ განაწერთა თანახმად, რომელსაც შეიმუშავებენ მთავარი განყოფილებანი, სამმართველონი და უწყებანი.

4) საფონდო კომისიის უდასტუროდ უკანონოდ ჩაითვლება ყოველგვარი ცვლილება ფონდის რაოდენობისა და მისი ნაწილების შეფარდებისა, რაც განსაზღვრულია კომისიის მიერ მთავარ განყოფილებათა, სამმართველოთა და უწყებათა მუშა-მოსამსახურეების სამუშაო ხელფასისათვის, აგრეთვე უკანონოდ ჩაითვლება, საფონდო კომისიის უდასტუროდ, ყოველგვარი ასიკნვა ფულისა, სასურსათო, ნივთობრივი, მასალისა და სხვა რესურსებისა მთავარ განყოფილებათა სამმართველოთა და უწყებათათვის შრომის სასყიდლის მიცემისა და ამ რესურსების დახარჯვის მიზნით.

5. საფონდო კომისიას უფლება ეძლევა შეიმუშაოს დებულებანი, ინსტრუქციები და წესები თავისი ადგილობრივი ორგანოებისათვის, აგრეთვე ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებთან და სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილთა მქონელებთან ურთიერთობრივი დამოკიდებულებისათვის და აგრეთვე საერთოდ, ამა დეკრეტის განვითარებისათვის.

6. საფონდო კომისიის დებულებანი, ინსტრუქციები და წესები ძალაში შედის ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

7. უკეთუ რომელიმე დაინტერესებული უწყება თანახმა არ იქნება საფონდო კომისიის დადგენილებისა — შეუძლიან საკითხი გადასაწყვეტად

ეკონომიურ საბჭოში გადაიტანოს, ხოლო ამით საფონდო კომისიის დადგენილება არ შეჩერდება.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის 1921 წ. დეკემბრის 17-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რევ. კომიტეტის

თავმჯდ. მოადგილე ს. ქავთარაძე.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ., იანვრის 10.

ტფილისი, — სასახლე.

დეკრეტი № 91

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა.

საქართველოში გაზომვის საერთაშორისო მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

1 ტექნიკასა, მეცნიერებასა და ვაჭრობა-

მრეწველობაში ყოველგვარი გამოანგარიშებისა და გამოთვლის გაადვილებისათვის, ხერხიანობისათვის, დროს დაზოგვისათვის და გამარტივებისათვის, — აგრეთვე გაზომვის სფეროში ერთი საერთაშორისო ენის შემოღებისათვის, — საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ყოველნაირ გაზომვის საფუძვლად დაედვას საზომ-საწონის საერთაშორისო მეტრული სისტემა-აღწილადობრივი დაყოფითა და ნაწარმით.

2. მიღებულ იქნეს სიგრძის ერთეულის საფუძვლად-მეტრი, ხოლო სიძიმის (მასის) საფუძვლად-კილოგრამი — მეტრული სისტემის ძირითადი ერთეულების ნიმუშად მიღებულ იქნეს საერთაშორისო მეტრის ასლი, რომელსაც აქვს 28 № რის ნიშანი, ხოლო საერთაშორისო კილოგრამისა, — რომელსაც აქვს 12 №-რის ნიშანი; ეს ნიმუშები დამზადებულია ირიდის პლატინისაგან და გადაეცა რუსეთს ზომისა და წონის პირველი საერთაშორისო კონფერენციის მიერ, რომელიც მოხდა პარიზს 1889 წ. ამ უმად ეს ნიმუშები ინახება რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ზომისა და წონის მთავარ პალატაში-პეტროგრადს.

3. საბჭოთა ყოველი დაწესებულება და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვალდებულია 1922 წლის იანვრის 1-დან შეუდგეს საერთაშორისო მეტრული სისტემის შემოღებას და საბოლოო გადასვლა ამ სისტემაზე უნდა დამთავრდეს: რკინისგზაზე, ფოსტისა და საბაჟო დაწესებულებაში 1923 წლის იანვრის 1-ს, ხოლო დანარჩენ დაწესებულებასა და ორგანიზაციებში, აგრეთვე კერძო ვაჭრობა-მრეწველობაში და სხვ.-1924 წლის იანვრის 1-ს.

4. 1922-1924 წ. წ. განმავლობაში — ფასების ცნობათა ნუსხა შედგენილ უნდა იქნეს როგორც ძველი, ისე მეტრული სისტემით.

5. მიწის გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მთავრობის დაწესებულებათა მიერ გამოცემულ ყოველ ნიბრსა და დადგენილებაში ზომა და წონა აღნიშნულ უნდა იქნეს როგორც ახალი, ისე ძველი სისტემით.

6. 1924 წლის იანვრის 1-დან საერთო სახმარებლად შემოღებულ უნდა იქნეს მარტოოდენ მეტრული საზომ-საწონი და დამნაშავე, — ამ ვადის შემდეგ, — ძველი სისტემის საზომ-საწონის ხმარებისათვის — დაიჯება ისევე, როგორც ის პირი, ვისაც აღმოაჩნდება უდალო ან ვადა გასულ დაღიანი საზომ-საწონი.

7. 1924 წლის იანვრის 1-დღე ვაჭრობასა და ყოველგვარ აღებ-მიცემაში მეტრული სისტემის საზომ-საწონის ხმარება შეიძლება მხოლოდ შეპარებულ მხარეთა შეთანხმებით.

8. ის, ვინც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მოისურვებს სავაჭრო შენობაში იხმაროს მეტრული საზომ-საწონი, — ვალდებულია იმავე შენობაში გამოჰქინოს, თვალსაჩინო ადგილას, განცხადება-ტაბულით ძველი და მეტრული საზომ-საწონის შესადარებლად, აგრეთვე საქონლის ფასი მეტრული საზომ-საწონის მიხედვით და ამავე საქონლის ფასთან შეფარდებით რუსული ზომა-წონის თანახმად.

9. საქართველოში არსებული და სახმარებლად მიღებული ადგილობრივი ეროვნული, — არა რუსული, საზომ-საწონი აღარ უნდა იხმარებოდეს — 1922 წლის იანვრის 1-დან.

10. გათანაბრება არსებული ეროვნული, — არა რუსული, — საზომ-საწონისა, — რომელიც მეტრულს უდრის, — დაეკისროს მეტროლოგიური რეფორმის განხორციელების კომისიას. ნაციონალურ საზომ-საწონს, — თუ იგი წონით, ტევით, სიგრძით და სხვ. თანაბარია მეტრულსა, — უნდა ჰქონდეს, მეტრული სახელწოდებასთან ერთად, ეროვნულიც.

11. დავალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, — საზომ-საწონთა პალატის ტექნიკური დახმარებით, — მიიღოს სათანადო ღონისძიება, რათა რესპუბლიკის მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნეს, რაც შეიძლება საქაროდ, — საზომისა და გირების საქმარისი რაოდენობით.

12. დავალოს განათლების სახალხო კომისარიატს მიიღოს ღონისძიება-მოსწავლეთათვის საზომთა მეტრული სისტემის, რაც შეიძლება, ფართო თეორეტიული და პრაქტიკული გაცნობისათვის და აგრეთვე ხელი შეუწყოს ამ სისტემის საერთოდ ხალხში პოპულარიზაციას.

13. დაეკისროს საზომ-საწონთა პალატას მე-

ტრულ საზომთა და გირების დამზადებისა, შემოწმებისა, დალის დასმისა და ვაჭრობა-მრეწველობაში მოხმარების წესების შემუშავება და გავრცელება.

14 1923 წლის იანვრის 1-დან მოსპობილ იქნეს რუსულისა და სხვა სისტემის საზომ-საწონთა დამზადება და შემოტანა, ხოლო 1924 წლის იანვრის 1-დან მოსპობილ იქნეს მათი გაყიდვა,

15. მეტრული სისტემის შემოღებისა და შეფარდების შესახებ ყოველი საკითხის გადაწყვეტისათვის და ყველა დაინერესებული დაწესებულება-სა და ორგანიზაციის საერთო ტექნიკური ხელმძღვანელობისათვის დაარსდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან საქართველოში გაზომვის საერთაშორისო მეტრული სისტემის შემოღების მთავარი კომიტეტი, რომელშიაც უნდა შევიდნენ: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ფინანსთა, სამხედრო, გზათა, განათლების, მიწათმოქმედების, სასურსათო, ფოსტისა და ტელეგრაფის უწყებათა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, უმაღლეს სასწავლებელთა, საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატის, საზღვაო ტრანსპორტის, ვაჭრობა-მრეწველობის ორგანიზაციების და აგრეთვე საზომ-საწონთა ბალატის წარმომადგენელი.

კომიტეტის ნამდვილი შედგენილობა, ფუნქციები და მოქმედების წესი განისაზღვრება ცალკე დებულებით, რომლის პროექტის შედგენა დაეკისრება საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე ბ. მდივანი.
სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
თავმჯდ. მ. ტაროშელიძე.
რევოლ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 127

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევ. კომიტეტისა.

სახელმწიფო დაწესებულებათათვის 1922 საბიუჯეტო წლის პირველი სამი თვის განმავლობაში კრედიტების გახსნის შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ვიდრე დამტკიცდებოდეს 1922 წლის საფინანსო აღრიცხვები, — რესპუბლიკის კომისარიატებისა და ცენტრალურ სამმართველოთა განკარგულებაში გახსნილ იქნეს კრედიტები 1922 წლის სააღრიცხვო დანიშნულებათა ანგარიშში ამა წლის პირველი სამი თვისათვის (იანვარ-მარტისათვის) ამ დეკრეტთან დართულ ნუსხაში აღნიშნული რაოდენობით.

2. რესპუბლიკის ყველა უწყებას დაევალება მიიღოს სათანადო ღონისძიება, რათა მათ განკარგულებაში გახსნილი კრედიტებიდან ხარჯები გაწეულ იქნეს თვიური ასიგნვის თანხის საზღვრებში.

3. ის უწყება, რომელსაც 1922 წლის აღრიცხვა ჯერ არ წარუდგენია ფინანსთა კომისარიატში, ვალდებულია წარგზავნოს იგი 1922 წლის თებერვლის 1 სათვის.

4. ფინანსთა კომისარიატს დაევალება შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტს დასამტკიცებლად სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის რიცხვ-რიგი არა უგვიანეს 1922 წლის თებერვლის 20-სა.

5. ყველა უწყება ვალდებულია მიიღოს ღონისძიება, რათა 1921 წ. კრედიტებიდან მინაღები ფულის ნაშთები, შეტანილ იქნეს ხაზინაში არა უგვიანეს 1922 წლის იანვრის 15-ტისა.

6. 1921 წლის შესრულებული ხარჯებისათვის უწყებანი ვალდებულნი არიან გამოითხოვონ — ვალების გასასტუმრებლად — აღრიცხვის ზედმეტი კრედიტები 1921 წლის აგვისტოს 10-ის სააღრიცხვო წესის 55 — 62 მუხ. დადგენილი წესრიგით.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის 1922 წლის იანვრის პირველიდან.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. რევ. კომიტეტის
თავმჯ. მოადგილე ს. ქავთარაძე.
ფინანსთა სახალხო კომისარი ალ. სვანიძე.
რევოლ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. იანვრის 10.
ტფილისი — სასახლე.



127 №-ის დადგენი-
ლების დანართი

ნ უ ს ხ ა

კრედიტებისა, რომელიც უნდა გაეხსნას კომისარიატებს და ცენტრალურ დაწესებულებათ 1922 წ.
3 თვის განმავლობაში.

№ რიგზე	დაწესებულების სახელწოდება	ჯ ა მ ი	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1	მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი	476.356.131	
2	ფინანსთა სახალხო კომისარიატი	16.645 165.809	
3	საქ. ს. ს. რევოლიუციონური კომიტეტი	1.556.661.417	
4	სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო	8.545.915.500	
5	შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი	11.327.004.213	
6	განათლების სახალხო კომისარიატი	2.764.138.515	
7	ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი	1.862.700.000	
8	იუსტიციის სახალხო კომისარიატი	645.000.000	
9	სასურსათო სახალხო კომისარიატი	10.980.000.000	
10	ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი	224.119.518	
11	სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი	15.329.070.076	
12	საქართველოს საგანგებო კომისია	2.400.000.000	
13	გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი	310.977.984	
14	სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარიატი	45.114.061.670	
15	მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი	21.686.736.444	
16	შრომის სახალხო კომისარიატი	25.695.487.296	
17	ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი	4.586.916 842	
ს უ ლ		169.150.363.915	

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდ. მოადგილე **ს. ქავთარაძე**.
 ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე**.
 რევოლიუც. კომიტეტის მდივანი **აღ. საღარაძე**.

1922 წ., იანვრის 10.
 ქ. ტფილისი, —სასახლე.

დადგენილება № 128

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევო-
 ლიუციონური კომიტეტისა საქართველოდან სა-
 სურსათო საგნების გატანის აკრძალვის შესახებ.

სასურსათო საგნების მოძრაობისა და ფართო
 მოხმარების საქმის მოსაწესრიგებლად — საქართვე-
 ლოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კო-
 მიტეტი ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს სრულიად გატანა სა-
 ქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრე-
 ზიდან.

ა., ყოველგვარი პურეულობისა (როგორც
 არის მავალითად: ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრი,
 ლომი, ფეტვი, ისლი, და სხ.) ამა თუ იმ სახით
 (მარცვლად, ფქვილად, ნამცხვრად და სხ.)

ბ. ყოველგვარი ბრინჯეულობისა;
 გ., ლობიოსი;
 დ., ყოველგვარი ფურაჟისა, როგორც შარც-
 ვლეულისა, ისე თივისა და ჩაღა ბალახეულისა.

ე., რბილისა და მაგარი ჩასაყრელ-ჩასაწყობი
 წონა-საცავისა (ტარა) როგორც არის მავალი-
 თად: ტომარა, საცალო, თოფრა, ტიკი და რუმბი.
 ყუთი, კათხა (ზოჩკა), ბიდონი და სხ.

ვ., შაქრისა ამა თუ იმ სახით;
 ზ., ფართლეულობისა (მანუჟაქტურა).

2. აკრძალულ იქნეს გატანა საქართველოს
 სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებიდან სა-
 სურსათო სახალხო კომისარიატის ნებადართვე-
 ლად:

ა., შუხუდოსი და იაპონური ძაძისა (სოია);
 ბ., კაკლისა და თხილისა ნაქუქიანად და
 უნაქუქოდ — ამა თუ იმ სახით.

გ., ჩაისა-მოცვის და ოზურგეთურისა;
 დ., ყოველგვარი ბოსტნეულობისა და ძირ-
 ნაყოფა ბოსტნეულისა (როგორც არის მავალი-

თად: კართოფილი, კომპოსტო, ხახვი, ნიორი, ქარხალი, სტაფილო, წიწკა და სხ.);

ე., რძის ყოველგვარი პროდუქტისა (როგორც არის მაგალითად: რძე ამა თუ იმ სახით, — ყველი, ერბო-კარაქი, მაწვნის ნაღები (სმეტანა) მაწონი ხაჭო და სხ.);

ზ.. ღვინისა და ყოველგვარი მაგარი სპირტისა, სასმელისა;

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტ. თავმჯდომარის მოადგილე. ს. ქავთარაძე.

სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე ა. ერქომაიშვილი.

რევოლიუც. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. იანვრის 10.

თბილისი — სასახლე.

დადგენილება № 129

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა ბოროტმოქმედთა აღმომჩენ პირების დაჯილდოების შესახებ

რათა წახალისებულ იქნენ ის პირნი, რომელნიც ებრძვიან ბოროტმოქმედებას და გამოიჩინენ ენერგიას ბოროტმოქმედთა და ბოროტმოქმედებით ნაშოვნ ნივთების აღმოჩენისათვის, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ის პირი, რომელიც აღმოაჩენს ბოროტმოქმედს და ბოროტმოქმედებით ნაშოვნ ნივთებს, მიიღებს ჯილდოს, — საქართველოს რესპუბლიკის მილიციის უფროსისა, ან სისხლის საშროთლის ძიების ცენტრალური განყოფილების გაგისა, ან და მაზრის მილიციის უფროსის წარდგენით: ჯილდოს რაოდენობას განსაზღვრავს და დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი საქმის სირთულისა, მისი მნიშვნელობისა და იმ ენერგიის მიხედვით, რომელსაც აღნიშნული პირი გამოიჩენს.

ჯილდო ვაიცემა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის განკარგულებაში გადაღებულ განსაკუთრებული ფონდიდან.

2. ბოროტმოქმედთა და ბოროტმოქმედებით ნაშოვნ ნივთის აღმომჩენ პირად ჩაითვლება ის ვინც, ან ხელმძღვანელობს გამოძიების წარმოებას ან თითონ აწარმოებს გამოძიებას, და აღმოაჩენს ბოროტმოქმედს და ბოროტმოქმედებით ნაშოვნ ნივთებს, ან და ის პირი, ვინც გამოძიების წარმოებაში მონაწილეობას არ იღებს, მაგრამ უჩვენებს ნამდვილს დამნაშავეს და ბოროტმოქმედებით ნაშოვნ ნივთებს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდ. მოადგილე ს. ქავთარაძე.

შინ. საქმეთა სახ. კომისარი ბ. კვიციანი.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. იანვრის 10.

თფილისი. — სასახლე

დადგენილება № 130

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა

ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთობრივი დამოკიდებულების შესახებ.

ღროებით, საბჭოთა ყრილობის მოწვევამდე, რომლის კომპეტენციასაც შეადგენს რევოლიუციონური კომიტეტების მაგიერ აღმასრულებელი კომიტეტების არჩევა, ხელისუფლების ორგანოებმა როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, ურთიერთობრივი დამოკიდებულებისათვის უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი:

1. საერთო, სახელმწიფოებრივი ხასიათის და მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტს გამოსცემს მხოლოდ საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი (იხ. დეკრეტი № 27, მუხ. 1).

2. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ყოველგვარი დეკრეტი, ბრძანება, დადგენილება, განკარგულება სავალდებულოა როგორც სახალხო კომისარებისა, ისე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთათვის.

3. სახალხო კომისარს ნება ეძლევა გამოსცეს ხოლმე — მისი უწყებრივი ქვემდებარეობისამებრ, — არსებულ კანონთა ფარგლებში, — ბრძანება, დადგენილება, ცირკულიარი და სხვ.

4. სახალხო კომისარის ბრძანება, დადგენილება, განკარგულება და სხვ. სავალდებულოა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოთათვის.

5. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა არ შეუძლიანთ შეაჩერონ უძალდეს ორგანოთა განკარგულების სისრულეში მოყვანა.

6. საქართველოს ცენტრალური რევოლიუციონური კომიტეტი — საქარო შემახვევაში, — მიჰმართავს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სათანადო სახალხო კომისარების მეშვეობით.

7. უკეთუ საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი უშუალოდ მიმართავს ადგილობრივ ორგანოს, — ამის შესახებ აცნობებს სათანადო სახალხო კომისარიატს.

8. სახალხო კომისარები თავიანთ განკარგულებას, დადგენილებას, ბრძანებას და სხვ. წარუგზავნიან თავიანთსავე ქვეუწყებრივ განყოფილებას



ადგილობრივი რევოლუციონური კომიტეტისას.
 9. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში იმყოფება: მაზრებისა, ქალაქებისა, ბათუმის მხარისა და სამხრეთ-ოსეთის რევოლუციონური კომიტეტების შინაგანი გამგებლობისა და კომუნალური განყოფილებანი; ამას გარდა, ხსენებული კომისარიატი მეთვალყურეობს ადგილობრივი რევოლუციონური კომიტეტის პირად შემადგენლობას და მათვე მოქმედებს.

10. მოხსენებას ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების მიერ აღძრული საკითხებისა და მათზე მოქმედების და საჭიროების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონურ კომიტეტს წარუდგენს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

11. უკეთუ ერთი სახალხო კომისრის განკარგულება ეხება სხვა სახალხო კომისრის კომპეტენციასაც, განკარგულება უნდა მოხდეს შეთანხმებით და ორთავე სახალხო კომისრის ხელისმწეებით.

12. სახალხო კომისრის განკარგულება უსათუოდ უნდა იქნეს შესრულებული, თუ იგი არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს.

13. უკეთუ განყოფილება, რომელმაც განკარგულება მიიღო, არა სცნობს მიზანშეწონილად მის აღსრულებას, ამის შესახებ დასაბუთებულ მოხსენებას წარუდგენს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს პრეზიდიუმს, — ხოლო თვით განკარგულება სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს, პრეზიდიუმის დიდგენილების დამოუკიდებლად.

14. უკეთუ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს პრეზიდიუმი დეთანხმება განყოფილების აზრს და განკარგულების შესრულებას თითონაც მიზანშეწონილად სცნობს, თავისი დასაბუთებული მოხსენება უნდა წარუდგინოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, განხილვის შემდეგ, გამოიტანს საბოლოო და სავალდებულო დიდგენილებას.

შენიშვნა: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ უმაღლესი ორგანოსათვის მოხსენების წარდგენა განკარგულების სისრულეში მოყვანას ვერ შეაჩერებს და იგი აღსრულებულ უნდა იქნეს.

15. ყოველგვარი მოსაზრება, დადგენილება და სხვ. რომელიც ხელისუფლების სამაზრო ორგანოს, — რევოლ. კომიტეტის სრული შემადგენლობით, — საჭიროდ მიაჩნია წარუდგინოს ცენტრალურ რევოლუციონურ კომიტეტს, უნდა გავგზავნოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, რომელიც შეიტანს მოხსენებას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტში ადგილობრივი რევოლუციონური კომიტეტის მიერ აღძრული საკითხის გამო.

16. სამაზრო რევოლუციონური კომიტეტის განყოფილებათა მიერ ცალკე აღძრულ საკითხი უნდა წარუდგინოს სათანადო კომისარიატს, რომელიც ან თითონ გადაწყვეტს მას, ან თავისი მხრით წარუდგენს გადასაწყვეტად ცენტრალურ რევოლუციონურ კომიტეტს.

17. მაზრის რევოლუციონურ კომიტეტს — მთლად მისი შედგენილობით — უფლება ეძლევა შეაჩეროს სახალხო კომისრის განკარგულება, უკეთუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან მის რომლისაზე დებულებას; ხოლო ამ შემთხვევაში იგი ვერ შეეხება განკარგულებას არსებითად და უნდა გამომდინარეობდეს ფორმალური ხასიათის დებულებიდან. განკარგულების შესრულების შეჩერების შესახებ რევოლუციონური კომიტეტი დაუყონებლივ მოახსენებს სათანადო სახალხო კომისარიატს.

18. უკეთუ რევოლუციონური კომიტეტი სახალხო კომისრის განკარგულების აღსრულებას შეაჩერებს იმ მოსაზრებით, ვითომც განკარგულება არაკანონიერია და შემდეგ კი გამოირკვევა თვით იმ შეჩერების არაკანონიერება, — იმ შემთხვევაში პასუხისგებაში მიიძემა რევოლუციონური კომიტეტი სრულის შემადგენლობით.

19. ასეთსავე პასუხისგებაში მიიძემა სახალხო კომისარი, რომელმაც გამოსცა უკანონო განკარგულება.

20. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რევ. კომიტეტის თავმჯ. მოადგილე ს. ქავთარაძე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვიციანი.

რევოლ. კომიტ. მდივანი ილ. სალარიძე.

1922 წ. იანვრის 10. ტფილისი - სასახლე.

დადგენილება № 132

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

პროფესიონალურ, ეკონომიურ, საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებში და დაწესებულებებში პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფის შესახებ.

შრომის სასყიდლის ახალი ნორმის შემოღების გამო და აგრეთვე იმ მიზნით, რომ პასუხისმგებელ მომუშავეთა სასყიდლის ნორმა რაც შეიძლება მეტად იქნეს შეთანხმებული საწარმოო და სხვა დაწესებულებათა ნორმებთან, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1922 წლის იანვრის 1-დან შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფის შესახებ.

1. პასუხისმგებელ პროფესიონალურ მომუშავედ ჩაითვლება ის, ვისაც პროფესიონალურ ორგანიზაციებში უჭირავს შემდეგი თანამდებობა:

ა) არჩეული წევრი ქავშირთა და საკავშირთა შორისო ორგანიზაციების პრეზიდიუმებისა.

ბ) გაგე პროფესიონალური ორგანიზაციის ტიპური განყოფილებისა—მისი ყველა ქვეგანყოფილებითურთ, (როგორც არის მაგალითად: შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის, საორგანიზაციო, საკულტურო და შრომის დაცვის განყოფილებანი).

გ) პროფესიონალური კავშირების ცენტრალური გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი და

დ) ინსტრუქტორი—სათანადო მომზადებითა და პროფესიონალური მუშაობის სტაჟით ერთი წლისაზე არა ნაკლებისა.

2. პოლიტიკურ და საბჭოთა პასუხისმგებელ მომუშავედ ჩაითვლება:

ა) ვინც პოლიტიკურ ორგანიზაციაში და საბჭოთა დაწესებულებაში იმყოფება საარჩევნო თანამდებობაზე: პრეზიდიუმის წევრი საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა (რევოლუციონური კომიტეტის), სახალხო კომისართა საბჭოსი, აღმასრულებელი კომიტეტებისა, კომუნისტური პარტიის ცენტრალურ და ოდგილობრივ კომიტეტებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა.

ბ) ვინც საბჭოების ყრილობისა, პარტიისა, სახალხო კომისართა საბჭოსა, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა (რევოლუციონური კომიტეტისა) და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ არჩეულია პოლიტიკურ და სამეურნეო მომუშავეთა პასუხისმგებელ თანამდებობაზე, სახელდობრ: სახალხო კომისარი, მისი მოადგილე, სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, ყველა უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულების თავმჯდომარე (ერთპიროვნული გამგებლობის დროს), მისი მოადგილე და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოო განყოფილებათა კოლეგიის წევრი არჩევით.

3. პირველსა და მეორე პუნქტში ყველა დასახელებული მომუშავე მიიღებს ჯილდოს შემდეგი ნორმით:

მე-III კატეგორია—600.000 მან.

ა) საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და უმაღლესი ეკონომიურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და განყოფილების გამგე.

ბ) კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და მათი მთავარ განყოფილებათა გამგენი.

გ) საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა (რევოლუციონური კომიტეტისა) სახალხო კომისართა საბჭოსი და ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სახალხო კომისარი და მისი მოადგილე, სახალხო კომისარიატების კოლეგიის წევრი, საქართველოს რევოლუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარე და წევრი, საქართველოს სფანგებო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კოლეგიის წევრი, რკინისგზათა და წყლის ტრანსპორტის სამმართველოების კომისარები.

მე-II კატეგორია—500.000 მან.

ა) პროფესიონალური კავშირების ცენტრალური სამმართველოს განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი და გამგე, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ სამმართველოს პასუხისმგებელი ინსტრუქტორი, ქ. ბათუმის, ფოთის, სოხუმის და ქუთაისის პროფესიონალურ ორგანიზაციების პრეზიდიუმის წევრი.

ბ) კომუნისტური პარტიის ქ. ბათუმისა, ფოთისა, სოხუმისა და ქუთაისის კომიტეტების პრეზიდიუმის წევრნი.

გ) ბათუმისა, ფოთისა, სოხუმისა და ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტების (რევოლუციონური კომიტეტების) პრეზიდიუმის წევრი.

1-ლი კატეგორია—400.000 მან.

ა) პროფესიონალური კავშირთა სამაზრო ბიუროს პრეზიდიუმის წევრი.

ბ) კომუნისტური პარტიის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

გ) სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის (რევოლუციონური კომიტეტის) პრეზიდიუმის წევრი.

4. აღნიშნული სამი კატეგორიის პასუხისმგებელ მომუშავეთ, საერთო ულუფის გარდა, მიცემა დამატებითი კმაყოფა ნატურად; დამატებითი ულუფის ნორმას განსაზღვრავს ცენტრალური საფონდო კომისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებასთან შეთანხმებით და აგრეთვე აღნიშნულ პირთათვის დაწესებულ შრომის ფულადი სასყიდლის შეფარდების მიხედვით.

შენიშვნა: უკეთუ პასუხისმგებელ მომუშავეთ ვერ მიეცემათ მე-4 პუნქტში გათვალისწინებული დამატებითი კმაყოფა, მათ უნდა მიეცეს კომპენსაცია ფულად, რომლის ნორმას ყოველთვიურად განსაზღვრავს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილება.

5. 1-ლსა, მე-2 და მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი არჩეული პასუხისმგებელი მომუშავენი მიიღებენ სასყიდლს პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფით იმ შემთხვევაში, თუ ეწვეიან მუდმივ მუშაობას თავიანთ თანამდებობაზე.

6. უკეთუ საქარხნო კომიტეტისა, ოდგილობრივი კომიტეტისა და პარტიულ ბიუროს მუდმივი არჩეული მომუშავე ისეთ საქმეს ემსახურება, რაც ხელს უწყობს მისი დაწესებულების მომუშავეთ, იგი მიიღებს გასამრჯელოს შემდეგი რაოდენობით:

ა) დაწესებულებაში თავისი ძირითადი თანამდებობის სატარიფო განაკვეთით, ხოლო მე-8 კატეგორიაზე არა უმცარეს.

ბ) საწარმოო დაწესებულებაში—მე 8 კატეგორიის მუშაო ჯგუფის საშუალო სამუშაო ხელფასს, ამასთანავე ანგარიშში უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი მინაცემი, რაც მას შრომის სასყიდელში მიუღია.



ქვემოთაა
განმარტებული

133 №-ის დადგენილების დანართი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლუც. კომიტეტისა
სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა ფინანსიურად მოგვარებისა და ანგარიშის გასწორების
ოპერაციების შესახებ.

1. ყველა სახელმწიფო საწარმოო დაწესებულების ნაციონალიზაცია — ქმნილი, წინაღ სახაზინოდ ყოფილი, სეკვეტრის წესით ჩამორთმეული და სხვ. ფულადი საშუალებას ერთად ერთი წყარო არის საქართველოს საბჭ. რესპუბლიკის საერთო სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის რიცხვ-რიგის კრედიტებიდან გადაღებული თანხები.

2. ფულის ყოველი შემოსავალი, — გამოუნაკლისად, — რასაც საწარმოო დაწესებულება მიიღებს თავისი პროდუქტების ჩაბარებისათვის, აგრეთვე სხვა ყოველგვარი შემოსავალი — ასიგნობად, ჩეკად, გადასაგზავნ ბილეთად, ნაღდ ფულად და სხვ. შეტანილ უნდა იქნეს თავთ საწარმოო დაწესებულებისა ან ამ წარმოების დარგის ხელმძღვანელ დაწესებულების მიერ სახელმწიფო ხაზინის შემოსავალში როგორც საწარმოო დაწესებულებისა ან ამა წარმოების დარგიდან შემოსული.

შენიშვნა: სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, მისი ორგანოებისა და საწარმოო დაწესებულებათა შუამდგომლობით ფინანსთა სახალხო კომისარიატი გახსნის მათთან შემოსავალ გასავლის მიწერითი კასებს; ასეთი შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს ორი კვირის განმავლობაში.

3. ყველა სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებისათვის, რომელიც სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა ან მის ორგანოების გაკვეთლობაში იმყოფება, შემოდებულ უნდა იქნეს გახსაკუთრებული წესი ფინანსიურად მოგვარებისა.

4. ყველა სახელმწიფო საწარმოო დაწესებულების ხარჯები უნდა სწარმოებდეს მხოლოდ წინასთანადო აღრიცხვით, რომელიც შემუშავებულ იქნება თავთ საწარმოო დაწესებულებას მიერ განსაზღვრული ფორმით.

5. საფინანსო აღრიცხვა იმ სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებისა, რომელიც უკვე მოქმედობს და სახელმწიფო კმაყოფის სარგებლობს, აგრეთვე აღრიცხვა ახალი საწარმოო დაწესებულებისა და წარმოების ორგანიზაციისათვის, შედგენილ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ და დამტკიცებული კომისიის მიერ, რომელიც შესდგება ცენტრალურ საწარმოო განყოფილებისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელთაგან.

6. საფინანსო აღრიცხვა მე-4 პუნქტში აღნიშნული საწარმოო დაწესებულებისა, რომელიც

7. საწარმოო და სხვა დაწესებულების პასუხისმგებელ მომუშავეთათვის დაცულ უნდა იქნეს უფლება ყველა ნატურალური კმაყოფის მიღებისა, თანაბრად ამ წარმოების ან დაწესებულების დანარჩენ მუშა-მოსამსახურეებთან.

8. მე-3 პუნქტში დასახელებულ პასუხისმგებელ მომუშავეს სატარიფო განაკვეთის გარდა, სხვა არაფართარი დამატებითი გასამრჯელო (პრემია ზედმე) მუშაობისათვის და სხვ.) არ მიეცემა.

9. პასუხისმგებელი მომუშავეს სამუშაო დრო განუსაზღვრელია.

10. შვებულება და საწარვლინებო გასამრჯელო პასუხისმგებელ მომუშავეთათვის განისაზღვრება საერთო წესით.

11. ამ დადგენილების გამოქვეყნებისათანვე გაუქმებულად ითვლება პასუხისმგებელ მომუშავეთა შრომის სასყიდლის ყველა ნორმა, რომელიც აქამდე არსებობდა.

12. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტ. თავმჯდ. შოადგილე ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისარის მოადგ. ა. მიქაძე.

საქართველოს პროფ. კავ. საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგ. განყ. გამგე ჯუღელი.

რევ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. იანვრის 10.

ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 133

საქ. სოც. საბჭ. რესპ. კომიტეტისა.
სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა ფინანსიურად მოგვარებისა და ანგარიშების გასწორების ოპერაციების დებულებისა და წესის დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული 1. დებულება და 2., წესი სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა ფინანსიურად მოგვარებისა და ანგარიშების გასწორების ოპერაციების შესახებ.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის 1922 წლის იანვრის 1-დან

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლ.


კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

ფინანსთა სახ. კომისარი ა. სვანიძე.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წლის იანვრის 31.

ტფილისი, — სასახლე.



სამაზრო სახალხო მეურნეობის საბჭოსა, ან ეკონომიურ განყოფილების გამგებლობაში იმყოფება დამტკიცებულ უნდა იქნეს კომისიის მიერ, რომელიც შესდგება ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ადგილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭოსა ან ეკონომიური განყოფილების, სამაზრო პროფესიონალური კავშირისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთაგან.

7. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთ შექლიანთ განაცხადონ პროტესტი აღრიცხვის ამა თუ იმ ნაწილის წინააღმდეგ. ხოლო არა მთელი აღრიცხვის წინააღმდეგ მთლიანად. ამ შემთხვევაში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლება ეძლევა მიმართოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას, წარმოშობილი უთანხმოების თავიდან ასაცილებლად; უკეთეს აღნიშნული უთანხმოება ამის შემდეგაც არ იქნა აცილებული, იგი გადაეცემა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტს გადასაწყვეტად; ხოლო ეს ვერ შეაჩერებს სააღრიცხვო ასიგნებს წინასწარ, — ასეთ შემთხვევაში, — დამტკიცებას ისეთ თანხაზე, რომლის გაცემას დასთანხმდნენ შემმოწმებელ უწყებათა წარმომადგენელნი. ამ რიგად დადასტურებული აღრიცხვა გადაეცემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საფინანსო-საანგარიშო განყოფილებას სათანადო კრედიტის გასახსნელად.

8. არა უგვიანეს ერთის თვისა სააღრიცხვო პერიოდის დაწყებამდე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრიდან უნდა ეცნობოს რაოდენობა დამტკიცებულ დანიშნულებისა, რომელიც განზახულია მრეწველობის თვითეული დარგისათვის, საერთოდ, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თვითეული ადგილობრივი ორგანოსათვის. ამავე დროს სახალხო მეურნეობის საბჭოსა და ეკონომიური განყოფილების განკარგულებისათვის ადგილობრივ გადასცემს აღნიშნული თანხის რაოდენობის ნახევარ კრედიტს, რაც ამასთანავე უნდა აცნობოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას შესაფერი განკარგულებისათვის. ცალკე საწარმოო დაწესებულებას აღნიშნული თანხებიდან კრედიტი უნდა გაუხსნას ფინანსთა სახალხო კომისარიატს სათანადო ადგილობრივმა ორგანომ ადგილობრივი კომისიების მიერ დამტკიცებულ აღრიცხვის მიხედვით.

9. საწარმოო დაწესებულების აღრიცხვა-დამასაბუთებელი განმარტებითი მასალით უნდა წარედგინოს სათანადო კომისიას (მუხ. მე-5 და მე-6) არა უგვიანეს ერთის თვისა სააღრიცხვო პერიოდის დაწყებამდე, ხოლო კომისიამ უნდა დაამთავროს აღრიცხვის განაილვა ორი კვირის განმავლობაში.

10. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ყველა აღრიცხვის პირველი ხარისხის კრედიტებისა და აგრეთვე მისი სატრიალებელი ფონდის განაწილების უფლება ეკუთვნის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

11. გაერთიანებულ საწარმოო დაწესებულებებთან მიმართ, ან ისეთების მიმართ, რომლებსაც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გადაეცა უმაღლეს საბჭოს ამა თუ იმ განყოფილებას უშუალო გამგებლობისათვის, აგრეთვე სხვა საწარმოო დაწესებულებათა მიმართ, პირველი ხარისხის გამწესრიგებელის უფლება აქვს სათანადო განყოფილებებსა და სახალხო მეურნეობის სამაზრო საბჭოებსაც; ამასთანავე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განყოფილებანი, სახალხო მეურნეობის სამაზრო საბჭო და ეკონომიური განყოფილება მოქმედობს ამ შემთხვევაში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული წესის თანახმად.

12. უკეთეს დაწერილებითი აღრიცხვის წარდგენა შეუძლებელია, საწარმოო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათანადო დაწესებულებას წინასწარი მოსახრებანი მარტოდენ თანხების რაოდენობის შესახებ, რომელიც საჭირო იქნება შემდეგი კატეგორიის ხარკებისათვის: ა) სამუშაო ხელფასი მუშა-მოსამსახურეთა დაახლოვებითი რაოდენობის აღნიშვნით, ბ) ნედლი და სათბობი მასალის დამზადება დაახლოვებითი აღნიშვნით თუ რაგვარი და რა რაოდენობის მასალაა დასამზადებელი, გ) სხვა და სხვა ხარკები — საერთო დაახლოვებითი თანხის აღნიშვნით.

12. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაწესებულებას, რომელიც წინასწარ მოსახრებათა თანახმად ამტკიცებს აღრიცხვას, უფლება აქვს ავანსის სახით მისცეს საწარმოო დაწესებულებას სათანადო თანხა ამ დაწესებულების ორი თვის დაახლოვებითი ფაქტიური მოთხოვნილების მიხედვით; ავანსის გაცემის დროს ანგარიშში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე სასეზონო დამზადებანი იმ ზომისა და რაოდენობისა, როგორც შეიძლება ფაქტიურად შესრულებულ იქნეს ამ ორი თვის განმავლობაში. აღნიშნული რაოდენობის ავანსი შეიძლება გაცემილ იქნეს მხოლოდ ერთხელ სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში.

14. წინა მუხლში აღნიშნულ ავანსის გასაცემად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საწარმოო განყოფილებანი და სახალხო მეურნეობის სამაზრო საბჭოები სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საფინანსო-საანგარიშო განყოფილების მეშვეობით მიიღებენ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმისაგან განსაზღვრულ კრედიტს, რომლის ფარგლებიც დაენიშნებათ ამ ზემოაღნიშნული წესით.

15. სახალხო მეურნეობის სამაზრო საბჭო და ეკონომიური განყოფილება მიიღებს კრედიტს ზემოდასახელებული ავანსების გასაცემად წარმოება თვითეული დარგისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმისაგან.

16. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოო განყოფილებანი მიიღებენ ავანსს საოპერაციო ხარჯებისათვის სათბობისა, ნედლეულისა



ბისა და მასალების დასამზადებელ და სხვა და სხვა ნაკეთობისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის განსაკუთრებული ნებართვით.

17. სატრიალებელი ფონდის რაოდენობა ავანსების მისაცემად და გადაუდებელ საოპერაციო ხარკებისათვის განისაზღვრება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წლიური ბიუჯეტის 10%-ით.

18. მე-4, 11—15 მუხლებით გათვალისწინებული წესით ცალკე სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებისა, ან მათ გაერთიანებულ ორგანოსა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სხვა დაწესებულებებისათვის გაცემული თანხა, შეტანილ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ განყოფილების მიერ ამ საწარმოო და სხვა დაწესებულებისათვის ახლად გახსნილ ანგარიშში.

19. გაცემული თანხის დახარჯვა სწარმოებს თანახმად სავასავლო აღრიცხვისა, რომელსაც აღრიცხვის დამტკიცებელი დაწესებულება აცნობებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას ხარჯის მთავარი მუხლებისა და ვალეების აღნიშვნით.

20. საწარმოო და სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელ ორგანოების ყოველი განკარგულება ზემოაღნიშნული აღრიცხვის ფარგლებში სავალდებულოა ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიური განყოფილებისათვის, რომელიც თვალყურს ადევნებს მოთხოვნების მხოლოდ ფორმალურ სისწორეს და არ შედის მის არსებითად განხილვაში.

21. დამტკიცებულ აღრიცხვის ფარგლებში არსებითად გასამართლებელი საბუთებისა და აგრეთვე სავანსო ხარჯების მოთხოვნა ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან გაბათილებულ იქნეს.

22. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიური განყოფილებისათვის გადაცემული აღრიცხვის ყოველგვარი შეცვლა გაღებული თანხის როგორც გადიდებისა ან შემცირების, ისე მისი დახარჯვის წესისა და პირობების მხრით, სწარმოებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს იმავე ორგანოების მიერ, რომელთაც მოახდინეს თავდაპირველი ასიგნვა.

23. საწარმოო ან სხვა დაწესებულების სავასავლო აღრიცხვასთან ერთად აღრიცხვის დამტკიცებელმა ორგანომ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას უნდა აცნობოს აგრეთვე დაახლოვებითი მოკლე საწარმოო გეგმა, სადაც აღნიშნული უნდა იქნეს საერთო რაოდენობა და ღირებულება სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში გამოსაშვებად განზრახული ნაკეთობისა.

24. თვითნებური საწარმოო დაწესებულება პერიოდულად აღრიცხვის დამტკიცებელ ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაზე, გაუგზავნის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას ასლს სარეგისტრაციო ორგანოში გასაგზავნი ცნობებისა, ამ დაწესებულების მიერ გამოშვებული პროდუქტებისა და ნაკეთობის რაოდენობის შესახებ, მათი ფულადი ღირებულების აღნიშვნით.

25. კომერციულ ნიადაგზე ~~განსაკუთრებულ~~ ხელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა ფინანსთა რად მოგვარების წესი განისაზღვრება ცალკე გამოცემული დებულებით.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მღვიანი.

ფინანსთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე.
რევოლიუციონური კომიტეტის მღვიანი ალ. სალარიძე.

1922 წ. იანვრის 31.
ტფილისი —სასახლე.

დადგენილების 133
№-ის დაწართი II.

წ ე ს ი

სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა ფინანსიურად მოგვარებისა და ანგარიშების გასწორების ოპერაციების შესახებ.

1. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ფინანსთა კომისარიატის საბიუჯეტო-საანგარიშო განყოფილება აცნობებს ფინანსთა კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას — რა საერთო თანხა გაასიგნებული ბიუჯეტით — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსათვის: ა) ცალკე საწარმოო დაწესებულებათა საოპერაციო ხარჯებდ, — რომელიც გათვალისწინებულია სათანადო წესით დამტკიცებული აღრიცხვებით, და ბ) სატრიალებელ საშუალებად, ესე იგი საწარმოო განყოფილებათა და ცალკე საწარმოო დაწესებულებათათვის ავანსების მისაცემად.

2. ამის დამოუკიდებლად სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საანგარიშო განყოფილება გაუგზავნის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას ცნობებს აღნიშნულ ასიგნების განაწილების შესახებ განყოფილებათა შორის იმ განმარტების თანდართვით თუ თვითნებურ საწარმოო განყოფილებას რა ნაწილი შეუძლიან ისარგებლოს უშუალოდ, — დებულების მე-16 მუხლის წესისამებრ, — მისთვის გადაღებული კრედიტიდან.

2. თავისი მხრით განყოფილებანი უგზავნიან ცნობებს ფინანსთა კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას მათთვის გახსნილი კრედიტების განაწილებას შესახებ: ა) საწარმოო დაწესებულებათა შორის, რომელნიც გაერთიანებულნი არიან ან გადაცემულნი მათ უშუალო გამგებლობაში და ბ) სარაიონო ეკონომიურ განყოფილებათა და სახალხო მეურნეობის საბჭოთა შორის: ამასთანავე, — უკანასკნელთა შესახებ — ჩაყენები უნდა იქნეს შემდეგი განაწილება ლიტერ ა-ს მიხედვით, ცალკე საწარმოო დაწესებულებათა შორის. — ამავე დროს

ზემოაღნიშნულ განაწილებილი კრედიტებისა უგზავნიან იმავე ეკონომიურ განყოფილებას ხარჯთაღრიცხვას ყოველი საწარმოო დაწესებულებისას, რომელმაც უნდა ისარგებლოს ეს კრედიტები და აგრეთვე უგზავნიან—მსვე საწარმოო გეგმას,— დებულების 23 მუხლით გათვალისწინებულს.

4. ზემოაღნიშნულ ცნობების მიღებისთანავე ფინანსთა კომისარიატის ეკონომიური განყოფილება აძლევს განკარგულებას ქვემდებარე ხაზინებს სათანადო კრედიტების (ანგარიშების) გახსნისას: ა) საწარმოო განყოფილებათათვის, ბ) გაერთიანებულ ან განყოფილებათა უშუალო გამგებლობაში გადაცემულ საწარმოო დაწესებულებათათვის და გ) სარაიონო ეკონომიურ განყოფილებათა და სახალხო მეურნეობის საბჭოთათვის.

5. ამისდა თანახმად ქვემდებარე ხაზინები უხსნიან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თვითეულ ცალკე დაწესებულებას ან საწარმოო დაწესებულებას განსაკუთრებულ ანგარიშს. ამ ანგარიშებით გაცემულ თანხების გასატარებლად ხაზინების და ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ განყოფილების დავთრებში გაიხსნება სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა—„სახაზინო ხარჯების ანგარიში“ მრეწველობის დარგებზე დანაწილებით.

6. ეს ანგარიშები დანიშნულია მხოლოდ ხარჯების საწარმოებლად; ამის გამო ამ ანგარიშებზე სხვა არავითარი ჩარიცხვა არ შეიძლება, (გარდა თანხებისა, რომელიც შემოვა კრედიტის აღსადგენად).

7. აღნიშნულ ანგარიშებით სარგებლობა სწარმოებს ასიგნობებით; ასიგნობის ტექსტში უნდა იყოს აღნიშნული, — რიცხვ-რიგის რომელ განყოფილებასა და აღრიცხვის რომელ მუხლს უნდა მიეწეროს ეს განაცემი.

8. ფულის ნიშნების დახარჯვის შესამცირებლად, ხაზინებს ნება ეძლევათ მოითხოვონ ანგარიშების მოსარგებლე საწარმოო დაწესებულებათა და სხვა დაწესებულებათაგან იმის გამმართლებელი ცნობა, რომ აუცილებელი საჭიროებაა გამოთხოვილი თანხა ნაღდ ფულად იქნეს მიღებული. იმ შემთხვევაში, უკე თუ ეს ცნობა საკმარისი არ იქნება, ხაზინა თუმცა არ შეაჩერებს თანხის გაცემას, მაგრამ ატყობინებს უახლოეს უმაღლეს, განმკარგულებელს კრედიტისას და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოს, მის მიერ შემჩნეულ გარემოებას, რომ ამა თუ იმ ანგარიშის მოსარგებლე დაწესებულების—სალაროში გამოუყენებლად დარჩვილია ფულის თანხა და შედეგს ამა მომართვისას მოახსენებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას.

9. იმ შემთხვევაში, უკე თუ არიციხვის რომელიმე მუხლით გადადებული კრედიტი ამოიწურა, — მისით სარგებლობა უნდა მოისპოს.

შენიშვნა: საწარმოო დაწესებულებას, რომელმაც ამოიწურა თავისი კრედიტი, უფლება აქვს კრედიტის უახლოესი უმაღლესი

განმკარგულებლის ნება-დართვით გამოიწეროს ასიგნობა, გაუთვალისწინებელი ხარჯის მუხლით.

10. სააღრიცხო კრედიტის დასასრულს (რეკემბრის 31) ხაზინების მიერ „სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა სახაზინო ხარჯების ანგარიში“ — განაცემთა საერთო ჯამი უნდა ჩამოიწეროს „სახელმწიფო ხარჯების განაცემა ანგარიშზე“ — დებულების მე-13 მუხლისამებრ. ცალკე საწარმოო დაწესებულებათათვის გახსნილი კრედიტები — უნდა დაიხუროს ფინანსთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა საკუთარს განკარგულებით დამუკიცებული აღრიცხვის თანახმად კრედიტის გახსნისთანავე; ამასთანავე, საავანსო კრედიტის ანგარიშით წარმოებული ხარჯი უნდა დაიფაროს სააღრიცხო კრედიტის ანგარიშით. — საავანსო განაცემთა განაწილება სააღრიცხო კრედიტის ცალკე მუხლებზე უნდა სწარმოებდეს კრედიტის უახლოესი უმაღლესი განმკარგულებელის ჩვენებლობით (სახალხო მეურნეობის ადგილობრივი საბჭოსი, ან თანამდებ განყოფილებისა — კუთვნილებისამებრ).


11. საწარმოო განყოფილების საწარმოო დაწესებულებათა შემოსავალი ხაზინებს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას შეაქვს ამავე დაწესებულებათა განსაკუთრებულ ანგარიშებზე. ამ ანგარიშებზე შემოსულ თანხების ხაზინათა და ფინანსთა კომისარიატის ეკონომიურ განყოფილების დავთრებში გასატარებლათ გაიხსნება; სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა სახაზინო შემოსავლის ანგარიშებით, მრეწველობის დარგებზე დანაწილებით. გაცემა ამ ანგარიშებით შეუძლებელია.

12. განყოფილების ანგარიშზე მისი ქვემდებარე ცალკე საწარმოო დაწესებულების პროდუქტების რეალიზაციისაგან — შემოსული თანხები, შეძლებისადაგვარად, — იმავე დღეს გადაიგზავნება ხაზინის სათანადო დაწესებულებაში — ამა საწარმოო დაწესებულების ანგარიშზე ჩასარიცხავად.

13. სააღრიცხო პერიოდის დასასრულს საბალანსო ნაშთი სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა სახაზინო შემოსავლის ანგარიში — სა უნდა ჩამოიწეროს „სახელმწიფო შემოსავლის თანხების ანგარიშზე“

14. ყოველი თვის დასასრულს, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო 10 რიცხვისა, თანამდები ხაზინა უგზავნის დაწვრილებითი ამონაწერს თანხების მოძრაობისას, როგორც აქტიური, ისე პასივური ანგარიშებისას, კრედიტის უახლოეს უმაღლეს განმკარგულებელს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიური განყოფილების მეშვეობით — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საანგარიშო განყოფილებას.

15. დებულების 24 მუხლით გათვალისწინებული ცნობები საწარმოო დაწესებულების მიერ გამოშვებული პროდუქტების რაოდენობისა და ღირებულების შესახებ ეგზავნება თანამდებ ხაზინებს ყოველთვიურად, არ უგვიანეს საანგარიშო თვის მო-



მდევრო 10 რიცხვისა. ამ ცნობებს და აგრეთვე სათანადო საწარმოო დაწესებულებათა საწარმოო გეგმას ხაზინები და ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიური განყოფილება გამოიყენებენ სახელმწიფო სამრეწველო საწარმოო დაწესებულებათა წარმოების სტატისტიკური აღწერისათვის. ამ მიზნით ხაზინებში შემოხსენებული ცნობები უნდა შეიტანონ სათანადო დაწესებულების წარმოებითი საპირადო ანგარიშზე; ამასთანავე, პერიოდული ანგარიშების (ოტჩეტოსტ) მიღების და გვარად, — უნდა გამოიყარონ ჯამი-საწარმოო დაწესებულებების მიერ, — სააღრიცხვო პერიოდის დაწყებიდან, — დამზადებული პროდუქტების ღირებულებისა და შეადარონ იგი საწარმოო დაწესებულების სააღრიცხვო ვარაუდს, — წარმოებითი გეგმის მიხედვით შედგენილს; აგრეთვე უნდა შეადარონ იგი ცნობებს საწარმოო დაწესებულების საპასივო ანგარიშზე ნამდვილად შექმნილ თანხების შესახებ — ყოველ თვე არა უგვიანეს საანგარიშო თვის მიმდევრო 20 რიცხვისა, — ხაზინები უგზავნიან ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ განყოფილებას ამონაწერს ხსენებული პირადი ანგარიშებიდან დადგენილი ფორმით.

16. ყოველ თვე, ცენტრალური უწყების მიერ ნაჩვენებ ვალაზე, — ყველა ადგილობრივი საწარმოო და სხვა დაწესებულება უგზავნის თავის ცენტრალურ ორგანოს ცნობებს შესახებ მათ და მათი ქვემდებარე ორგანოების მიერ საანგარიშო თვის განმავლობაში სხვა სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებებისათვის, გაცემული: ნედლეულობისა, სათბობისა მასალებისა, ნაკეთობისა, სასურსათო პროდუქტებისა, ფურაჟისა და სახელომწიფო ნაკეთობისა, — ყველა გაცემული საგნების ფულადი ღირებულობის აღნიშვნით, ხოლო სატრანსპორტო საწარმოო დაწესებულებანი წარგზავნიან გადაზიდვის ანგარიშებს. ცენტრალური დაწესებულებანი, შემოწმებენ რა შემოხსენებულ ცნობებს და ანგარიშებს ერთ თვეზე, არა უგვიანეს მიღების დღიდან, — გასცემენ განკარგულებას სატრიალებელი ასიგნობით (ან ჩეკით), ტფილისის ხაზინის მიმართ-გადარიცხონ თანხა თავიანთი კრედიტებიდან იმ უწყების შემოსავლის სათანადო საშემოსავლო მუხლში, რომელსაც თანხა ერგება. ამ სახით სწარმოებს საურთიერთო ანგარიშების გასწორება ცენტრალურ დაწესებულებათა შორის.

17. საბჭოთა საწარმოო და სხვა დაწესებულებანი უსწორებენ ანგარიშებს კოოპერატიულ და სხვა საზოგადო ორგანიზაციებს, აგრეთვე კერძო პირებს, — მიმღებლებთან შეთანხმებისამებრ, ან საბჭოთა საწარმოო და სხვა დაწესებულების კრედიტებიდან თანხების გადარიცხვით მიმღებთა მიმდინარე ანგარიშებზე ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში; — ან ფულის ხელში მიცემით, ამასთანავე რაიმე შეზღუდვა თვითვეულ ცალკე შემთხვევაში გადასარიცხი ან მისაცემი თანხის რაოდენობისა არ არის დადგენილი.

18. წესი ესე სახელმწიფო და ნაციონალიზაცია ქმნილ საწარმოო დაწესებულებათა ფინანსიუ-

რად მოგვარებისა — შეფარდებულ უნდა იქნეს იმ დაწესებულებისათვისაც, რომელნიც ამჟამად არიან სხვა სახალხო კომისარიატების განმეორებაში და რა კომისარიატებიც განაგებენ პროდუქტების, საგნებისა და სხვ. წარმოების და განაწილების საქმეს.

19. დანარჩენ შემთხვევებში, რაც ამა წესით გაუთვალისწინებელი არ არის საწარმოო და სხვა დაწესებულებანი ხელმძღვანელობენ სააღრიცხვო წესების დებულებით). დანართი საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის 1821 წ. აგვისტოს 10 თარიღისა და 65 №-ის დეკრეტისა.)

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ მდივანი.
ფინანსთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე.
რევოლ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.


1921 წ. იანვრის 31
ტფილისი — სასახლე.

ჩრდნაშუა № 95.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 1922 წლის იანვრის 24-ს დადგენილების თანახმად, საქართველოს საგანგებო კომისიის ყოველი ორგანო ვალდებულია:

1. კონფისკაცია ქმნილი სამხედრო ჯურის ყოველი თოფ-იარაღი, როგორც მაგალითად: ვინტოვკა, ყარაბინი, ტყვიისმფრქვეველი და საამისო სამხედრო ხელსაწყო სამი დღის განმავლობაში ჩააბაროს საარტილერიო სამომარაგო საწყობს.
2. ყოველი ჩამორთმეული სამხედრო იარაღი, როგორც მაგალითად, სადა ლულიანი და დაღარული თოფი, შტუცერი და ყარაბინი და საამისო ხელსაწყო, სამი დღის განმავლობაში მათი კონფისკაციის დღიდან უნდა ჩააბაროს ადგილობრივ საგუბერნიო მონადირეთა კავშირს.
3. ჩამორთმეული თოფ-იარაღი უნდა ინახებოდეს საგანგებო კომისიის საწყობებში და იყოს გაწმენდილი და გაზეთილი.
4. წითელი არმიის დაწესებულებათა მიერ გაცემული სამხედრო ჯურის იარაღი, ჩამორთმევისთანავე, კონფისკაციის შესახებ დადგენილების მიღებამდე, უნდა ჩაბარდეს იმ ნაწილს, ან დაწესებულებას, რომელსაც იგი გაუცია.
5. იარაღი ჩაბარებული უნდა იქნეს ნუსხით, რომელშიაც ნაჩვენებია უნდა იყოს: ა) ვის ჩამოერთვა, ბ) იარაღის ჯური, გ) ფირმა, დ) იარაღის №-ი. ე) იარაღის ვარგისობა ან უვარგისობა და კ) ვის ჩაბარდა. იარაღისა და საამისო ხელსაწყოს მიმღები ხელს აწერს ნუსხის ორ ცალს, რომელ-



თავანაც ერთი გაეგზავნება საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოს, მეორე კი რჩება დაწესებულებას, რომელსაც იარალი ჩაბარდა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. იანვრის 31. ტფილისი—სასახლე.

დაბეჭდვა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ.

რადგანაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ზოგიერთ ცხელ, მაგრამ ბუნებრივად ნაყოფიერ ადგილებში, — მინდვრების მოურწყველობისა ან ჭაობიანობის გამო, — სოფლის მეურნეობის განვითარება შესაძლებელია მარტოოდენ ხელოვნური მორწყვისა და ჭაობებების დაშრობის საშუალებით, ხოლო საამისო მუშაობის წარმოება სათანადო წინასწარი გეგმის მიხედვით მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, უკეთეს ამით დაინტერესებული მცხოვრებნი იმ ადგილების გამოიჩინენ თვითმოქმედების უნარს. ამხანაგობათა დაარსების სახით, — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

რათა სამელიორაციო აღმშენებლობის საქმისათვის ადგილობრივი ძალების ორგანიზაცია, რაც შეიძლება, შესაფერისად იქნეს განხორციელებული ნებადართოს — მოეწყოს ნებაყოფლობით და აგრეთვე იძულებითაც — სამელიორაციო ამხანაგობანი შემდეგი წესის დაცვით:

1. სამელიორაციო ამხანაგობა არსდება, რათა შეერთებულის ძალით აავოს, ექსპლოატაცია უყოს და ხელი შეუწყოს დაცვა-შენახვით-ასაგებ ან უკვე აგებულ ჰიდრო-ტექნიკურ სისტემებს, რომელთა დანიშნულებაა მიწების მორწყვა-დაშრობა, მდინარისა, არხისა და ხევის ნაპირთა გამაგრება, წყალსადენის გაყვანა და სხვ. რამ ამისთ.

2. ამხანაგობის წევრად შეუძლიან იყოს ყველა მიწის-მოსარგებლეს (ფიზიკური და იურიდიული) ამა თუ იმ სისტემის მოქმედების რაიონში.

3. სამელიორაციო ამხანაგობა დაარსდება ნებაყოფლობით შეთანხმებით მიწის მოსარგებლეთა საერთო რიცხვის ნახევარზე არა ნაკლებისა იმ რაიონში, რომლის მიწებზედაც გავრცელებულ უნდა იქნეს ასაგებად განზრახულისა, ან უკვე არსებული ჰიდრო-ტექნიკური სისტემის მოქმედება, — იგინი ჩაითვლებიან ამხანაგობის დამაარსებლებად და თავიანთ დადგენილებას-ამხანაგობის

დაარსების შესახებ წარუდგენენ დასამტკიცებლად მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელ მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც აღიარებული იქნება, რომ ამ ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობათ უალრესი მნიშვნელობა აქვთ იმ რაიონისათვის ამხანაგობის დასაარსებლად საკმარისია შეთანხმება ზემოაღნიშნულ მცხოვრებთა რიცხვის 1—3-სა.

4. მე-3 მუხლის მიხედვით დაარსებულ ამხანაგობის დამფუძნებელთ შეუძლიანთ იძულებით ჩარიცხონ წევრებად იმ რაიონის დანარჩენი მცხოვრებნიც, რომელთა მიწებზე გრცელდება ამხანაგობის ჰიდრო-მეხანიკურ ნაგებობათა მოქმედება. ამრიგად ჩარიცხული წევრები, დამფუძნებელ წევრების თანაბრად იზიარებენ ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც გაშომდინარეობს ამ დებულებისა და ამხანაგობის წესდებიდან.

5. ამხანაგობის საქმეებს განაგებს: ა) ამხანაგობის გამგეობა, და ბ) ამხანაგობის წევრთა ან მათ რწმუნებულთა საზოგადო კრება ამხანაგობის წესდებაში აღნიშნული წესის მიხედვით.

6. სამელიორაციო ამხანაგობას უფლება აქვს: თავისი სახელით ქონების შეძენისა და განსხვისებისა, ვალდებულებათა დადებისა, სასამართლოს წინაშე ძიებისა და პასუხისგებისა და საერთოდ იურიდიულად უფლება-მოსილ პიროვნების მოქმედებისა — საერთო კანონდებულებათა ფარგლებში.

7. ამხანაგობა დაადგენს: ა) ამხანაგობის საქმეში მონაწილეობის ფორმასა და წესრიგს (შრომით, ფულით, მასალით და სხვა რამ ამისთ.) ბ) თვითეული ამხანაგის ვალდებულობის რაოდენობას, გ) ამხანაგების მოვალეობის შეცვლას, (პომატებას ან დაკლებას) და სხვა პირობებს, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს და რაც აუცილებელია ამხანაგობის მიზნების მისაღწევად.

8. იმ შემთხვევაში, როდესაც ამხანაგობის რომელიმე წევრი განსაზღვრულ ვადის განმავლობაში არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ამხანაგობას უფლება აქვს სასამართლოსადმი მიუმართავდ, — იძულებით:

ა) გადაახდევინოს პირობის არ ამსრულებელ წევრს გადასახადი-ფულად თუ მასალით.

ბ) გაიყვანოს სამუშაოზე შრომის მოვალეობის მისახდელად ის წევრი, რომელიც ამისაგან თავს განირიდებს:

გ) შეუცვალოს ეს უკანასკნელი ფულის გადახდევინებად დღიურ შრომის შეუასების მიხედვით და გადაახდევინოს ფული საქირო მუშების დასაქირავებლად.

9. აღმინისტრაციული ხელისუფალნი ვალდებული არიან იძულებითი და უდავო წესით ადგილობრივ სისრულეში მოიყვანონ ამხანაგობის ის დადგენილებანი, რომელიც შეესაბამება საერთო კანონდებულებას, ამა დებულებას და ამხანაგობის წესდებას.

10. ამხანაგობიდან გამოსვლა შეუძლიან მხოლოდ იმ წევრს, რომელმაც დაპყარვა უფლება მიწის სარგებლობისა ამხანაგობის მოქმედების რაიონში და აგრეთვე იმ წევრთ, რომლის მიწა-აღვიღზე არ ვრცელდება ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოქმედება.

11. სამეტიორაციო ამხანაგობის მოქმედების ზედამხედველობა დაეკისრება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა.

12. თავის მოქმედებაში ამხანაგობა ხელმძღვანელობს ყველა არსებული კანონს, ამა დებულებას და თავის წესდებს, რომელიც წარედგინება მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

13. ამხანაგობის ლიკვიდაცია მოხდება: 1) ვადის გასვლამდე მის ყველა წევრთა ერთხმად მიღებულ დადგენილებით და 2) დასახული მიზნის საბოლოოდ განხორციელების შემდეგ.

14. დებულება ესე ძალაში დღიდან შედის მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდ. ბ. მდივანი

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., დეკემბრის 31.
ქ. ტფილისი, —სასახლე.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი

ინსტრუქცია

სახალხო მსაჯულთა სიების შესადგენად.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი, სახალხო სასამართლოს დებულების მე-18 მუხლის თანახმად და აწ მოქმედ ინსტრუქციის გასაუქმებლად, წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ შემდგვი:

1. პროფესიონალური კავშირები (კავშირებში ჩაწერილ მუშათა და მოსამსახურეთა შორის), თემები (სოფლის მცხოვრებთა შორის), სამაზრო კომისარები (კავშირების გარეშე დარჩენილ მოქალაქეთა შორის), დაწესებულ ფორმით ადგენენ სახალხო მსაჯულთა წინასწარ სიებს, რომელსაც უგზავნიან მორიგ სიების შემადგენ ადგილობრივ კომისიებს ყოველ ექვს თვეში, ხოლო არა უგვიანეს ნოემბრის 20-სა და აგვისტოს 20-სა ყოველ წელს.

2. სახალხო მსაჯულთა წინასწარ სიების შეკრება და ამათ მიხედვით სახალხო სასამართლოსათვის მორიგი სიების შედგენა ეწელება მორიგ სიების შემდგენ საქალაქო თუ სამაზრო კომისიებს, რომელნიც ამის გამო იღებენ ზომებს, რათა ზემოთდასახელებულმა (I მუხ.) ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა თავის დროზე შეადგინონ სახალხო მსაჯულთა წინასწარი სიები და წარადგინონ იგინი არა უგვიანეს დადგენილ ვადის (I. მუხ.)

3. მორიგ სიების შემადგენელი კომისიები არსდებიან შემდეგ ქალაქებში: ტფილისსა, ბათუმსა და ქუთაისში და აგრეთვე ყოველ მაზრაში. კომისიების შემადგენლობაა: თავმჯდომარე, სახალხო მოსამართლე, რომლის რაიონშიაც სწარმოობს კომისიის სხდომა და ოთხი წევრი ადგილობრივი აღმასრულებელ კომიტეტის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, პროფესიონალურ კავშირის საბჭოსი და ადგილობრივ მილიციის თითო წარმომადგენელი.

4. სახალხო მსაჯულთა სიებში შეტანილ უნდა იქნეს ანბანის რიგზედ ყველა მშრომელი, რომელსაც უფლება აქვს აირჩიოს და თვითონაც ამორჩეული იქმნეს სახალხო მოსამართლედ თანახმად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ 1921 წელს ივლისის 11 გამოცემულ საარჩევნო უფლების დებულებისა სახალხო მოსამართლეთა ასარჩევად.

5. ადგილობრივი კომისიები, მიიღებენ რა სახალხო მსაჯულთა წინასწარ სიებს, მათი შესწორებისა და შევსების შემდეგ და მათის მიხედვით, ანბანის რიგზედ, ადგენენ მორიგ სიებს თვითნებულ სახალხო სასამართლოსათვის ცალცალკე; იმავე სიების მიხედვით ადგილობრივი კომისიები თვითნებულ სახალხო სასამართლოსათვის ადგენენ განსაკუთრებულ სიებს უფრო შეგნებულ და პოლიტიკურად მომზადებულ პირთაგან, განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა გარჩევაში მონაწილეობის მისაღებად. ამგვარად შედგენილი სიები უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად სათანადო საქალაქო ან სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს (რევკომებს) არა უგვიანეს დეკემბრის 10-სა და ივნისის 10-სა.

6. მიიღებენ რა დამტკიცებულ მორიგ სიებს, ადგილობრივი კომისიები დაუყონებოვი, ხოლო არა უგვიანეს დეკემბრის 20-სა და ივნისის 20-სა, ამ სიებს უგზავნიან სათანადო სახალხო სასამართლოებს.

7. ყოველი სესია ინიშნება არა უმეტეს ექვსი დღისა, სესიის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად, სახალხო მოსამართლე წინაწინვე, პირველი სხდომისათვის, დამტკიცებულ სიის მიხედვით, რიგრიგობით იწვევს, არა ნაკლებ 12 სახალხო მსაჯულისა; ამათ შორის კენჭს ყრით ირჩევს 8 მსაჯულს (6 მორიგი და 2 სათანადო) სახალხო სასამართლოს დებულების მე-7 მუხლში აღნიშნულ საქმეთა განსახილველად და იმავე 8 მსაჯულთა რიცხვიდან

დღეგამრამდენი

ირჩევს 3 მსაჯულს (2 მორიგი და ერთი სათადარიგო) სახალხო სასამართლოს დებულების მე-8 მუხლში აღნიშნული საქმეთა განსახილველად ამოურჩეველ მსაჯულთ კი სახალხო მოსამართლე დაუყონებლივ ანთავისუფლებს. თუ მხოლოდ იმდენი მსაჯული გამოცხადდა, რამდენიც კი საჭიროა სხდომებში მონაწილეობის მისაღებად, მაშინ კენჭის ყრა ხდება მხოლოდ სახალხო სასამართლოს დებულების მე-8 მუხლში აღნიშნულ საქმეების გასარჩევად.

8. ყოველ სესიაში მოსასმენად ინიშნება შეძლებისამებრ, ისეთი საქმეები რომელთა განსახილველად საჭიროა ერთი და იგივე რიცხვი სახალხო მსაჯულებისა (ექვსი ან ორი), ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ პირველ დღეებში ინიშნება 6 მსაჯულის მონაწილეობით, შემდეგ დღეებში კი 2 მსაჯულის მონაწილეობით გასარჩევი საქმეები, იმ შემთხვევაში, თუ საქმეები განსახილველია მხოლოდ 2 მსაჯულის მონაწილეობით, კენჭის ყრისათვის უნდა გამოწვეულ იქმნეს 6 სახალხო მსაჯული.

9. ის სახალხო მსაჯულნი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ერთ სესიაში, თუნდაც ეს სესია ექვს დღეზე ნაკლებ გაგრძელებულიყოს, აღარ შეიძლება დაინიშნონ მეორე სესიაში იმავე ნახევარწელს.

შენიშვნა: სახალხო მსაჯულნი, რომლებიც გამოცხადდნენ გამოწვევით, მაგრამ არჩეული კი არ იქმნენ იმ სესიაში მონაწილეობის მისაღებად, თავისუფლებიან მომდევნო სესიაში მონაწილეობის მიღებისაგან, თუ დანარჩენი რიცხვი მსაჯულებისა საკმარისია საქმეთა განსახილველად.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე
1922 წ. იანვრის 24.
ქ. ტფილისი.

შრომის სას კომისარიატი

დადგენილება № 3.

შრომისა და ტვირთ-ზიდვის საგადასახადო პერიოდების დაწესების შესახებ.

24 იანვარი, 1922 წელი.

1. მცხოვრებთათვის შრომის და ტვირთსაზიდ საშუალებაზე გადასახადის (ხარკის) შესრულების გასაადვილებლად და მის შესათანხმებლათ სასოფლო სამეურნეო ინტერესებთან, დაწესდეს 1922 წლისათვის შემდეგი საგადასახადო პერიოდები:

- ა) პირველი 1 ლ თებერვლიდან 31 მარტამდე—2 დღე.
- ბ) მეორე 1-ლ აპრილიდან 30 სექტემბრამდე, — 1 დღე.

გ) მესამე 1-ლ ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე—3 დღე.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ განაწილებასაგადასახადო პერიოდებისა შეიძლება შეცვლილი იქმნას ადგილობრივ პირობათა მიხედვით; სამაზრო ეკონომიურ თათბირისა და შრომის განყოფილების შეთანხმებით. ეს ცვლილება უნდა დამტკიცებულ იქმნას შრომის სახალხო კომისარიატის მიერ.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე მიქაძე.

შრომის გადასახადს და ბეგართა განყოფილების გამგე გადაბრელიძე.

დადგენილება № 4.

შრომისა და ტვირთ-ზიდვის გადასახადის შესრულების დროს მანძილის განსაზღვრის შესახებ.

24 იანვარი 1922 წელი.

1. შრომისა და ტვირთ-ზიდვის გადასახადის შესრულების დროს განისაზღვროს მანძილი, რომელიც საჭიროა გადამხდელის საცხოვრებელი ბინიდან სამუშაო ადგილამდე გასაღვლი:

2. შრომის გადასახადის დროს ფეხით მოსიარულეთ 7 ვერსი.

3. ტვირთ-ზიდვის საშუალებათათვის 20 ვერსით.

4. იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა მე-2 და მე-3 მუხლებში აღნიშნულ მანძილის გაღიდება, დრო ზედმეტი მანძილის გავლისა უნდა ჩაითვალოს მუშაობის ნაწილის შესრულებაში.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე მიქაძე.
შრომის გადასახადის და ბეგართა განყოფილების გამგე გადაბრელიძე.

დადგენილება № 5.

მცხოვრებთა მიერ შრომისა და ტვირთ საზიდავ საშუალებათა გადასახადის მოხდას დროს განთავისუფლების და შეღავათების შესახებ.

საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის 25 იანვრის, 1922 წ. თარიღით და მე-90 ნომრით გამოცემულ შრომისა და ტვირთ-საზიდვის გადასახადის შესახებ დეკრეტის მე-8 მუხლის განსავითარებლად, შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ა) შრომის გადასახადისაგან განთავისუფლება და შეღავათები:

- ამ გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებულ უნდა იქმნენ:
- ა) ისეთი ავადმყოფნი და ფიზიკური ნაკლის



მქონენ, რომელიც ჩამოთვლილნი არიან რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის საქმიო საკონტროლო კომისიის მიერ სახელმძღვანელოდ მიღებულ ავადმყოფობათა ცხრილში და იქ ნაჩვენებ ვადებზე გადასინჯვის წესების დაცვით.

ბ) ინვალიდები, რომელთაც შრომის უნარი 40 პრ. ით და მეტად დაჰკარგეს.

გ) ერთად ერთი მომუშავე, წითელი არმიელის ოჯახებში. ვინც წითელ არმიის საკამანდო შემადგენლობას ეკუთვნის.

დ) მუშები და მოსამსახურეები სახელმწიფო დაწესებულების, წარმოების და მეურნეობისა.

ვ) პროფესიონალურ ორგანოებში და მუშების კოოპერატივებში მომუშავენი.

მ) მოსწავლენი და მასწავლებლნი სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებისა, აღნიშნულნი განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შემოწმებულ სიებში.

2) შრომის გადასახადისაგან დროებით, ცალკე პერიოდის განმავლობაში განთავისუფლებულ უნდა იქმნენ ისინი, ვინც ხანგამოშვებითი სენით (ციებ ცხელებით და სხვა ამგვარი) ავადმყოფობენ, ასათან რამდენად ეს ავადმყოფობა ხანგრძლივდება საგადასახადო პერიოდის მთელ დროში.

3) იმათ ავადმყოფობას და ინვალიდობას, ვინც ჩამოთვლილნი არიან 1-ლ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში და მეორე მუხლში, ამოწმებენ საბჭოთა ამბულატორიები, ხოლო სადაც ასეთი ამბულატორიები არ არის, სახელმწიფო საქმიო სამსახურში მყოფი ექიმები.

1-ლ მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნულ გარემოებას ამოწმებს სასოფლო-სამეურნეო თავმჯდომარე. 1-ლ მუხლის „დ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებში აღნიშნულ გარემოებათა შემოწმება ხდება სათანადო დაწესებულებათა მიერ მიცემულ საბუთებით.

ბ) ტვირთ-საზიდავ საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლება და შეღავათები.

4. ამ გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებულ უნდა იქმნენ:

ა) ცხენები, სამ წელზე ნაკლებ ხნისანი, ხარები, კამეჩები და სხვა მუშა საქონელი ორ წელზე ნაკლებ ხნისანი;

ბ) ის მუშა-საქონელი, რომელმაც შრომის უნარი დაჰკარგა;

გ) ისეთი მუშა საქონელი, რომელსაც მუშაობა არ შეუძლია იმ ავადმყოფობის გამო, რომე-

ლიც ჩამოთვლილია მიწათ-მოქმედების სახალხო პერსონალისათვის გამოცემულ ინსტრუქციებში;

დ) მუშა-საქონელი სახელმწიფო დაწესებულების, წარმოებისა და მეურნეობისა; აგრეთვე ის მუშა საქონელი, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო მომუშავეებს, თუ ეს საქონელი საჭიროა მხოლოდ სახელმწიფო მოვალეობათა აღსასრულებლად;

ე) ის მუშა-საქონელი, რომელიც გადამხდელთა სიით ითვლება 60 პროც.-ზე მეტი შრომის უნარ დაკარგულ სახელობაზე ან ისეთ კომლზე, რომელსაც შრომის უნარიანი მამაკაცი არ ჰყავს.

5. ცალკე პერიოდის განმავლობაში ტვირთ-საზიდავ საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლებულ უნდა იქმნენ:

ა) მუშა-საქონელი, დაავადებული იმ ხანგამოშვებითი სენით, რომელიც ჩამოთვლილია მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ საბეითლო პერსონალისათვის გამოცემულ ინსტრუქციაში, ამასთან განთავისუფლება ხდება ავადმყოფობის დროს, აგრეთვე გადამდები სენით შეპყრობილი ის საქონელი, რომლისათვისაც იზოლიაციაა საჭირო; ამ შემთხვევაში განთავისუფლება ხდება მხოლოდ იზოლიაციის დროს;

ბ) მკვე საქონელი, (ცხენი, კამეჩი და სხვა) სამი თვის ადრე მკებად და თვის განმავლობაში მოგების შემდეგ, თუ მოგებულნი ცოცხალი დარჩა და დედის ძუძუთი იკვებება;

გ) მუშა-საქონელი იმ სოფლებისა, სადაც კარანტინია დაწესებული, კარანტინის მოხსნამდე;

დ) მუშა-საქონელი, რომელიც გადასახადის გადამხდელთა სიით მე 2 მუხლში აღნიშნულ პირზე ითვლება, თუ ამ პირების ოჯახებში სხვა შრომის უნარიანი მამაკაცი არ მოიპოვება; განთავისუფლება ხდება იმ ხნის განმავლობაში, რა ხნითაც მუშა-საქონლის პატრონი, თანახმად ხსენებულ მე-2-ე მუხლისა, გადასახადისაგან თავისუფლდება.

6. მუშა-საქონელის წლოვანებას ამოწმებს საბეითლო პუნქტი ან საბჭოთა სამსახურში მყოფი ბეითალი; მე 4-ე მუხლის ბ) და გ) პუნქტებსა და მე-5-ე მუხ. ა) ბ) და გ) პუნქტებში აღნიშნულ გარემოებას ამოწმებს საბეითლო პუნქტი, ხოლო სადაც იგი არ არის, საბჭოთა სამსახურში მყოფი ბეითალი.

მე-4-ე მუხლის დ) პუნქტში აღნიშნულ გარემოებათა შემოწმება ხდება შესაფერ დაწესებულებათა მიერ მიცემულ საბუთებით.

მე-4 ე მოხ. გ) პუნქტსა და მე-ნ-ე მუხ. დ) პუნქტში აღნიშნულ გარემოებას ამოწმებენ:—მათ შესახებ, ვის ოჯახშიც სხვა შრომის უნარიანი მ. მაკაკა არ არის—სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო იმათ შესახებ, ვინც შ. ს. გადასადის გადახდის დროს შეღავათით სარგებლობდა და ვიხედავ გადახდელთა სიით საქონელი ითვლება—იმ წესით, რომელიც აღნიშნულია მე-3- მუხლში.

7. ის დამნაშავე დაწესებულებანი თუ პირნი, რომელნიც ამ დადგენილებას დაარღვევენ ან გაცემენ არა სწორე საბუთებს; რომელსაც შედეგად მოჰყვება ვინმეს გათავისუფლება შრომის და ტვირთსაზიდავ საშუალებათა გადასახადისაგან, საერთო წესით იქნებიან მიცემული პასუხის გებაში სასამართლოს წინაშე.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **ა. მიქაძე.**

შრომის გადასახადის და ბეგართა განყოფილების გამგე **ხ. გოდაბრელიძე.**

დადგენილება

საპროცენტო ფულის შეტანის შესახებ.

დროებით ან სამუდამოთ შრომის უნარ დაკარგულ მუშების და მოსამსახურეებისათვის დროზე და წესიერებად სოციალურ დახმარების აღმოსაჩენად, შრომის სახალხო კომისარიატი, საქართველოს ს. ს. რესპ. რევოლუციონური კომიტეტის მიერ 12 ნომრით გამოცემულ დეკრეტის მე-2 მუხლის ძალით, ადგენს:

1. ყველა კერძო ფაბრიკა-ქარხანა, საიჯაროს საკაპერაკიო, სახელოსნო და სავაჭრო წარმოება და დაწესებულება, აგრეთვე ის წარმოება, რომელიც სამეურნეო ნიადაგზე მოეწყო (ტრესტად გადაკეთდა და სხვა), მოვალეა შეიტანოს შრომის სახალხო კომისარიატში მთელი იმ თანხის 10 პროც.-ი, რომელსაც იგი მუშებსა და მოსამსახურეებს სამუშაო ქირის სახით აძლევს.

შენიშვნა: სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოების შესახებ ამ საკითხის გამოცალკე ინსტრუქცია იქნება გამოცემული.

2. დაზღვევის საქმისათვის საპროცენტო ფულის გადიდების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას მთელი ის თანხა, რაც მუშას და მოსამსახურეს შრომის ფასად ეძლევა, როგორც ხელფასი და ჯამაგირი ისე ნარდ ზემდეტ და პრემიალურ სამუშაოს სხვა სახის გასამრჯელო.

შენიშვნა: არ შეიძლება დაზღვევისათვის

შეტანილი ფული მუშებსა და მოსამსახურეებს გამოერიცხოთ.

3—1-ლ მუხლში აღნიშნული საპროცენტო ფული მუშებისა და მოსამსახურეების დაზღვევისათვის, შეტანილ უნდა იქნას:

ა) ტფილისში—შრომის სახალხო კომისარიატში.

ბ) რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და ადგილებში—შესაფერ ხაზინებში, შრომის სახალხო კომისარიატის დეპოზიტის ანგარიშზე.

4. საპროცენტო ფულის შეტანა შემდეგი წესით ხდება:

ა) ყოველი თვის 1-სა და 15-ს წარმოებისა და დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა წარუდგინოს: თბილისში—შრომის სახალხო კომისარიატს, ხოლო ადგილობრივ—შრომის განყოფილებას უწყება, რომელიც უნდა შეიცავდეს მუშა მოსამსახურეების მთელს სიას და სამუშაო ქირის და საპროცენტო ფულის რაოდენობას, უწყებასთან ერთად შეტანილ უნდა იქნას თვით საპროცენტო ფულიც.

ბ) ამ დადგენილების თანახმად საპროცენტო ფულის გადაღება დაწესებულებებმა და წარმოებებმა უნდა დაიწყონ ამა 1922 წლის 1 იანვრიდან იმ განაკვეთების მიხედვით, რომელიც დაწესებულ უნდა იქნას საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტის მე-67 ნომრით გამოცემულ დეკრეტით.

5. ვინც შრომის სახალხო კომისარიატსა და შრომის განყოფილებებში საპროცენტო ფულის შეტანის ვადას გადააცილებს, იხდის ჯარიმას. თუ სამ დღეს გადააცილა—შეიჯანს ფულის 10 პროცენტს, თუ მეტ ხანს—20 პროცენტს.

6. დაწესებულებებისა და წარმოებების მიერ არ შეტანილი საპროცენტო ფული, თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის 1921 წლის 14 აპრილის მე-7 ნომრით გამოცემულ ცირკულიარისა, შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი წესით: საპროცენტო ფული იმ თანხისა, რაც მუშასა და მოსამსახურეებს ქირის სახით მიეცა 1921 წლის 15 აპრილიდან ა. წ. 1922 წ. 1-ლ იანვრამდე, შეტანილ უნდა იქნას არა უგვიანეს ამა წლის 1-ლ თებერვლისა, საპროცენტო ფული ამ შემთხვევაში გამოანგარიშებულ უნდა იქნას იმ საშუალო ქირის მიხედვით, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს ხსენებულ დროს მიეცათ.

7. ვინც ამ დადგენილების მე-6 მუხლს დაარღვევს, გადახდება ჯარიმა 50 000.000 მანეთამდე ან დაპატიმრებულ იქნება სამ თვემდე.

8. საპროცენტო ფულის დროზე შეტანის საქმის კანტროლი ევალებათ ამ საქმისათვის დანიშნულ განსაკუთრებულ აგენტებს, აგრეთვე შრომის დაცვის ინსპექტორებს.

9. ეს დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე ა. მიქაძე.

საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.

შრომის სახალხო კომისარიატის დაზღვევის განკ. გამგე ა. იაშვილი.

დადგენილება № 6

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის და ტვირთ-ზიდვის გადასახადის საშუალებით გაყვანილ მუშახელზე და ტვირთ-საზიდავ საშუალებაზე გეგმით მოთხოვნილებათა სამეურნეო ორგანოების მიერ წარმოდგენის შესახებ.

საქართველოს რევკომის დეკრეტის № 90 ა.წ. 25 იანვრის თარიღით შრომის და ტვირთ-ზიდვის გადასახადის შესახებ პ.პ. 2, 3 და 4 განსახორციელებლად შრომის სახალხო კომისარიატი იღებს რა მხედველობაში სამეურნეო ორგანოებს შრომის მუშახელის და ტვირთ საზიდავ საშუალებათა სწორი განაწილების აუცილებლობას ადგენს:

1. სამეურნეო ორგანოების მუშახელზე და ტვირთ-საზიდავ საშუალებებზე მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქნან მაშინ იმ პირობით, თუ ორგანოს მიერ წინასწარ იქაება შრომის სახალხო კომისარიატში წარდგენილი გეგმითი მოთხოვნილება განსაზღვრულ საგადასახადო პერიოდებზე დაწესებულ ფორმით, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს ერთი ეკვემპლიარით.

შენიშვნა: საგადასახადო პერიოდები ითვლება: 1-ლი 1-ლ თებერვლიდან—31 მარტამდე, მე-2—31 აპრილიდან 30 სექტემბრამდე და მე-3-ე 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე.

2. გეგმითი მოთხოვნილება მუშახელზე და ტვირთ-საზიდავ საშუალებებზე 1922 წლის პირველ საგადასახადო პერიოდებზე წარმოდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1922 წლის 5 თებერვლისა.

3. სამეურნეო ორგანოები, მათში სათბობ მასალის დამზადებელი და სასურსათო და არმია, რომელიც არ წარმოდგენენ აღნიშნულ ვადებზე მოთხოვნილებებს მუშახელზე და ტვირთ საზიდავ საშუალებაზე ჰკარგავენ უფლებას მისი მიღებისას.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე ა. მიქაძე.

შრომის გადასახადთა და ბეგბრათა გან. გამგე ვადაბრელიძე.

იანვრის 28. 1922 წ.

დადგენილება № 7

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატისა შემწეობის ნორმების გადინების შესახებ დაქირავებულ მომუშავეთათვის დაროებით და სამუდამოდ შრომის უნარის დაკარგვის დროს.

იმ შემწეობისა და პენსიების არსებულ ნორმების შესაცვლელად, რომელიც დაწესებულია სოციალურ დაზღვევის ნიადაგზე დროებით და სამუდამოდ შრომის უნარ დაკარგულ დაქირავებულ მომუშავეთა და მათ ოჯახისათვის, შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა, 1922 წ. პირველ თებერვლიდან შემოღებულ იქნას შემწეობის შემდეგი ნორმები:

1. ავადმყოფობის გამო დამზღვევ კასის მონაწილეს უნდა მიეცეს ფაქტიურ ხელფასის 2/3-დი, ულუფის ღირებულების გამოკლებით.

შენიშვნა: იმ პირს, ვინც ულუფას სახელმწიფოსაგან არ იღებს, შემწეობიდან ულუფის ღირებულება არ გამოეკლება.

2. კასის მონაწილე ქალებს, ვინც ფიზიკურ შრომას ეწევა, შემწეობა უნდა მიეცეთ მათ ვადებში დადგენილება შრომის სახალხო კომისარიატისა 1921 წ. 27 ივლისის თარიღით, ე. ი. 8 კვირის განმავლობაში მამობიარობამდე და 8 კვირის განმავლობაში მამობიარობის შემდეგ, ხოლო იმ ქალებს ვინც გონებრივ მუშაობას ეწევა 6 კვირა მამობიარობამდე და 6 კვირა მამობიარობის შემდეგ; ამათ შემწეობა იმდენივე უნდა მიეცეთ, რამდენიც ამ დადგენილების პირველ მუხლშია აღნიშნული.


შენიშვნა: მე-2 ე მუხლ. აღნიშნულ შემწეობის გარდა კასის მონაწილე ქალებს უნდა მიეცეთ ერთდროული დახმარება 500.000 მან.

3. იმ კასის მონაწილე დედებს, რომელნიც ბავშვებს ძუძუს აწოვენ, ჩვეულებრივ შემწეობის მოსპობის შემდეგ (მუხლი მე-2-ე) უნდა მიეცეთ ბავშვების გაოსაკვებად დღეში იმდენი შემწეობა, რამდენიც ერთი ქაქის რძის ღირებულებას უდრის. ვინც ფიზიკურ შრომას ეწევა 7 თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 7 1/2 თვის განმავლობაში; ამასთან რძის ფასად დროებით დაწესდეს 10.000 მანეთი და ეს ფასი დარჩეს ამა წლის 1 აპრილამდე. ამ დადგენილებას თანახმად ისობა კასის სახელით გაცემა რძისა და სხვა საწარმოებისა, რაც-კი ჯანის მოსახმარებლად არის საქირო.

4. გარდაცვალებულ კასის მონაწილეს დასაფლავებით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად, იმთ ვინც მიცვალებული დასაფლავეს, ერთდროულად უნდა მიეცეთ 1,500.000 მანეთი.

შემწეობა კასის მონაწილეთა ოჯახის წევრებს.

5. კასის მონაწილეს, რომლის ცოლსაც შეი-



ლი ეყოლა. უნდა მიეცეს 500.000 მან. (თუ ცო-
ლი არსად მსახურობს).

6. ოჯახის ისეთ წევრის გარდაცვალების გამო
რომელსაც კასის მონაწილე ინახავდა, ამ უკანას-
კნელს უნდა მიეცეს ერთდროულად: თუ გარდაც-
ვალბუღი 15 წლისაზე უმცროსი იყო—300.000
მანეთი, თუ უფროსი—500.000 მ.

**პენსიები დასახიჩრებულთ, ინვალიდებს, ქვრი-
ვებს და ობლებს**

7. ყველა ძველსა და ახალ პენსიონერს პენ-
სიად უნდა მიეცეს მისი ფაქტიურ ხელფასის 2/3-
დი; ანგარიში გაწეულ უნდა იქმნას საქართველოს
რევკომის მე-38 ნომრით გამოცემულ დეკრეტის
ძალით არსებულ განაკვეთის მიხედვით.

შენიშვნა: ქვრივებისა და ობლების პენსი-
ები ნავარაუდოვი უნდა იქმნას იმ ხელფასიდან
რომელიც შეეძლო მიეღო შემნახველს, არსე-
ბულ სატარიფო ცხრილით მათი შრომას დარგის
კატეგორიებისა და ჯგუფების მიხედვით.

8. ამ დადგენილების მე-7-ე მუხლში აღნიშ-
ნული პენსიები უნდა მიეცეთ იმ დაზღვეულებსაც
რომელთაც დაჰკარგავეს 30% -ზე მეტი შრომის
უნარი, რაოდენობა პენსიისა უნდა შეეფერებოდეს
დაკარგულ უნარის რაოდენობას.

9. დადგენილებანი სოციალურ დაზღვევის და-
მატებითი სახეების შესახებ ცალკე იქნება გამოქვე-
ყნებული.

10. ყოველივე საკითხის განსამარტებლად, რა
მილიც ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების
დროს აღიძრება დაინტერესებულმა დაწესებულებამ
და პარტია უნდა მიმართოს შრომის სახალხო კომისა-
რიატის სოციალურ დაზღვევის განყოფილებას.

ხელს აწერენ: შრომის სახ. კომ. მოად. ა. მიქაძე
შრომის სახალხო კომისარიატის სოციალურ დაზ-
ღვევის განყ. გამგე ა. იაშვილი.

დედანთან სწორია: იურისკონსულტი კ. აბაშიძე.

**ოსეთის ავტონომიურ პრეტაულის
შესახებ**

კავკასიის ერთა პოლიტიკურ გაერთიანების
სფეროში საბჭოთა მთავრობამ მეტად დიდ შედე-
გებს მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპოა შუ-
ღლი და მტრობა, რომელიც არსებობდა აქ სხვა
და სხვა ერთა შორის. მართალია კავკასიის ერთა

პოლიტიკური მთლიანობა მეფის მთავრობის დრო-
საც არსებობდა, მაგრამ მაშინ ნაციონალური შუ-
ღლი მეტად მწვავე ხასიათს იღებდა განსაკუთრე-
ბით იმიტომ, რომ ამ მოვლენას ხელს უწყობდა
ძველი მთავრობა, რადგან მთელ თავის პოლიტი-
კას ის სწორეთ ამაზე ამყარებდა. საბჭოთა მთავ-
რობის მეცადინეობით და შრომით ქართველი მშ-
რომელი ხალხის შეგნებაში კვლავ გაიღვიძა პრო-
ლეტარულ სოლიდარობის და ძმობა ერთობის
გრძნობამ და ნაცკლად შოვინისტური დამოკიდე-
ბულებისა, დღეს არსებობს მხოლოდ ძმური ერ-
თობა და ახანაგური კავშირი. საქართველოს პრო-
ლეტარიატმა შეიგნო რომ საბჭოთა ხელისუფლე-
ბა არის ყველა ერის მუშათა და გლეხთა ინტე-
რესების დაძველი, რომ ყველა ეროვნების მშრო-
მელი ხალხი წარმოადგენს რევოლიუციონური პრო-
ლეტარიატის ერთ მთლიან ოჯახს. სასიხარულოა
ეს ფაქტი ჩვენთვის, საქართველოს მშრომელი ხა-
ლხის მებაირატურათვის, რომლებიც არაფერს
არ ერიდებიან თავიანთი ბოროტი ზრახვების მისე-
ღწევათ. ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობის გა-
სატეხად. პროლეტარიატის მტრები ცდილობენ შე-
ქმნან ისეთი მდგომარეობა, რომ ნაციონალური
შუღლის გამოწვევით დასცენ პროლეტარიატის დი-
ქტატურა და ხელში ჩაიგდონ ძველებური ბატო-
ნობა. ერთ ასეთ პროვოკაციულ საშუალებათ მათ
სურთ ოსეთის საკითხის გამოყენება. ამ პროვოკა-
ციას, ამ ბოროტ საქმეს ხელმძღვანელობენ მენ-
შევიკები, რომლებსაც სურთ მახვილი ჩასცენ გუ-
ლში საბჭოთა მთავრობას.

საქართველოს საბჭოთა მთავრობას ხშირად
მოსდიოდა მომართვები ცხინვალის რაიონის ქარ-
თველ მკხოვრებთაგან, შესახებ იმისა, რომ თუ
ცხინვალის ოსეთის ავტონომიურ ოლქს გადაეცა,
მაშინ იქ მოსახლე ქართველებს არ შეუძლიანთ
არსებობა და მშვიდობიანი ცხოვრება. ასეთი გან-
ცხადებები სრულ გაუგებრობაზეა აშენებული, ის
არის შედეგი მენშევიკების ნაციონალისტურ პრო-
ვოკაციულ პროპაგანდა აგიტაციისა, ადგილობრივ
ქართველებს ჰგონიათ, რომ თუ ცხინვალის ოსეთს
გადაეცა, მაშინ აღარავინ იზრუნებს მათი ინტერე-
სების დაცვაზე. მათ ჰგონიათ, რომ მაშინ ისინი
იქნებიან საქართველოს და ოსეთის ავტონომიური
მმართველობა კი სრულიად ანგარიშს არ გაუწევს
მათ ინტერესებს და მოთხოვნილებებს. ასეთი შე-
ხედულება ამტკიცებს, რომ ცხინვალის ქართვე-
ლობას კარგათ ვერ გაუთვალისწინებია ოსეთის ავ-
ტონომიური ოლქის დაარსების ნამდვილი მიზეზე-
ბი. როგორია საქმის ნამდვილი ვითარება? საქმე



იმაშია, რომ ავტონომია არ ნიშნავს ჩამოშორებას. მართალია ოსეთი ავტონომიურ ოლქს წარმოადგენს, მაგრამ იგი მაინც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში შედის. ავტონომიის აღიარება სრულიადაც არ შეიცავს დამოუკიდებლობის და პოლიტიკურ სუვერენიტეტის დაშვებას. ავტონომია ნიშნავს თვით გამორკვევას და დამოუკიდებლობას მხოლოდ შინაურ საქმეებში, სხვა დანარჩენ საქმეებში კი ცენტრალურ ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას. ოლქი, რომელიც ავტონომიურათ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან წარმოადგენს ამ სახელმწიფოს განუყრელ და განუკვეთელ ნაწილს. ამის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს ჩვენ საბჭოთა ფედერატიულ რუსეთის ავტონომიური ოლქები და რესპუბლიკები. მართალია ოსეთი თავისი ცხინვალით, ავტონომიური ოლქს წარმოადგენს; მაგრამ ის სავსებით შედის საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში და არის მისი განუყრელი ნაწილი. ავტონომიური ოსეთი სარგებლობს შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობით იმდენათ, რამდენათ, დამოუკიდებელია თავის საქმეებში თითოეული სამაზრო რეგკომი ჩვენი რესპუბლიკისა. ავტონომიური ოსეთი დამოუკიდებელია თავის შინაურ საკითხებში, სხვა დანარჩენ საქმეებში კი ის სავსებით საქართველოს მთავრობას ემორჩილება და ამიტომ კ. ცხინვალის საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მოყოლების დაუქინებელი მოთხოვნა სრულ გაუგებრობით და საქმის ვითარების გაუთვალისწინებლობით არის გამოწვეული. არა მარტო ცხინვალი, მთელი ოსეთის ოლქი ისედაც ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკას და მაშასადამე, აბსურდია ასეთი მოთხოვნების წამოყენება. მეორე მხრით შეუძლებელი და დაუშვებელია ოსეთის ავტონომიურ ოლქის არსებობა უცენტროთ. ცენტრს კი წარმოადგენს ცხინვალი. მისი გამოგლეჯა ოსეთის ავტონომიურ ერთეულისაგან ყოველად შეუძლებელია. ეს ფრიად შეაფერხებს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეს ადგილობრივ. ამიტომ ცხინვალი უსათუოდ უნდა დარჩეს ავტონომიურ ოსეთის ფარგლებში. ამას მოითხოვს როგორც ქართველ და ოს მშრომელი მასების, აგრეთვე თვით საბჭოთა ხელისუფლების ინტერესები. გაუგებრობაზე აღმოცენებული ის

აზრიც, ვითომც ოსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ არ ემსახურება მშრომელი ხალხის ინტერესებს. საბჭოთა მთავრობა როგორც ოსეთში ისე ყველგან იცავს მხოლოდ მშრომელთა ინტერესებს განუჩევიად ეროვნებისა. და ადგილობრივ მომუშავე ამხ. კომუნისტების მოვალეობას შეადგენს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და როგორც საქმით ისე პრობაგანდას აგიტაციით დაუმტყციონ ადგილობრივ მცხოვრებ ქართველებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველგან და ყოველთვის იცავს მხოლოდ მშრომელთა ინტერესებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ახალ არჩევნების შემდეგ უკვე საბოლოოდ მოეღება ბოლო ასეთ გაუგებრობას. თუ სადმე დღემდე სათავეში იყო რომელიმე უღირსი პირი, რომელიც თავისი მოქმედებით ხელს უწყობდა ნაციონალური შუღლის გაღვივებას, ხელისუფლების ორგანოებში ეხლა მოექცევიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც ნამდვილი დამცველები იქნებიან მუშათა და გლეხთა ინტერესებისა და რომელთა მოღვაწეობა ხელს შეუწყობს ნაციონალისტური შუღლის სამუდამოთ მოსპობას. ადგილობრივმა ქართველობამ უნდა დარწმუნდეს რომ ნაციონალური მტრობის გამწვავება ხელს უშლის მშრომელთა დიქტატურის ვამტყციებას და საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობას. ოსები და ქართველები ძმურად, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა მისწრაფოდენ საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო განმტყციებისაკენ. ცხინვალის რაიონის ამხანაგებმა, ქართველი იქნება იგი თუ ოსი, მთელი თავისი ძალ ღონით უნდა შეაგნებონ ადგილობრივ ხალხს ეს ქეშმარიტება და სავსებით აღმოფხვრან ხალხის გულიდან შოვინიზმი და ერთმანეთისადმი უნდობლობა. მათ უნდა შთააგონონ ცხინვალის ქართველებს რომ საქართველოს მთავრობა თანაბრად დაიცავს ყველა ერთა ინტერესებს და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებში წარმოადგენილი იქნებიან როგორც ოსები, ისე ქართველები.

ძირს ნაციონალური მტრობა და შუღლი! გაუმარჯოს ოსებისა და ქართველების ძმურ კავშირს.

ახ. ლენინის მოხსენება.

(შემდეგი *).

ამხანაგებო, მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა აგრედვე ჩვენის უმთავრეს მრეწველობის—სასოფლო მეურნეობის გამო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ საკითხის შესახებ თქვენ უფრო არსებითსა და მთლიან მოხსენებას მოისმენთ ისევე, როგორც შიმშილობის შესახებ, რომლის შესახებაც მოხსენებას გააკეთებთ ამხანაგი კალინინი.


ამხანაგებო, ყველა თქვენგანმა ძალიან კარგად იცის თუ რა გაუგონარ სიმძიმედ დაგვატყდა თავზედ შიმშილი 1921 წელს. ძველი რუსეთის უბედურებათ ჩვენს თავზედაც უნდა გადავფიქროთ იმიტომ, რომ ამ უბედურ მდგომარეობათაგან თავის დაღწევა მხოლოდ საწარმოო ძალთა აღდგენით შეიძლება, მაგრამ ეს აღდგენა ძველ დატაკურ და წვრილმან საფუძველზე კი არ უნდა მოხდეს, არამედ ახალ მსხვილი მრეწველობისა და ელექტროფიკაციის საფუძველზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავი დავაღწიოთ ჩვენს სილატაკესა და განუწყვეტელ შიმშილობას. ამ მუშაობისათვის, როგორც სჩანს საკმარისი და შესაფერისი არ არის ის დრო, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობდით და ვზომავდით სახელო და პოლიტიკურ გამარჯვებისათვის. ჩვენ გავარდნიეთ ბლოკადა, რომელიც ალყათა გვქონდა შემორტყმული, ჩვენ მაინც მივიღეთ დახმარება, თუმცა ეს დახმარება ძლიერ მცირე იყო. ყველა ამ დახმარების ჯამი გამოიხატება 2 1/2 მილიონ ფუტში. შემოწირულობათა სახით ჩვენ შევსძელით 600 ათასი ოქროს მანეთის შეგროვება. ეს ციფრა ძლიერ უპნიშვნელოა, მაგრამ აქედან მაინც აშკარადა სჩანს თუ როგორის თვალით შევხედა ვეროპის ბურჟუაზიამ ჩვენს შიმშილობას.

ყველა თქვენგანი ალბად თვალს ადევნებდა შიმშილობის პირველ ხანების ამბებს და ალბად ყველა თქვენგანს ახსოვს ის მალაღმარებელი ტრაბახი, რომელიც უხვად და ზეიმ ზარით დაიწყეს გავლენიანმა სახელმწიფო ხალხმა. ისინი ამბობდნენ: ძველი ვალების გასანადგებლად შიმშილით სარგებლობა—ეს ქაჯური საქციელი იქნებაო. მე არ ვიცი ქაჯი უფრო საშიშია თუ დღევანდელი იმპერიალიზმი, მაგრამ ის კი ვიცი,

*) იხ. „მომავლეთი“ № 27.

რომ ნამდვილად სწორედ ისე გამოვიდეს, რომ შიმშილი დაგვად შიმშილობისა, გაცილებით ცუდ პირობებში მოგვთხოვს ძველი ვალების განაღდება. ჩვენ უარს არ ვაცხადებთ ვალების გასტუმრებაზე, ჩვენ საზეიმოთ ვაცხადებთ, რომ ამ საგანზე მოვილაპარაკებთ უფრო საქმიანის კილოთი, მაგრამ ვერაფითარ შემთხვევაში ვერ დავთანხმდებით ჩვენს გაყვლეფას ყოველგვარი ანგარიშების გარეშე, ყოველგვარი საურთიერთო პრეტენზიებისა და საკითხის საქმიანად განხილვის გარეშე.

მე უნდა გაცნობოთ, რომ უკანასკნელმა დღეებმა შიმშილობასთან ბრძოლის ნიადაგზე ფრიად თვალსაჩინო გამარჯვება მოგვიტანა. თქვენ ამოკითხავდით გაზეთებში ცნობას იმის შესახებ, რომ ამერიკაში რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად გადადებულია 20 მილიონი დოლარი, ალბად იმავე პირობით, რა პირობებშიაც გვებმარება „არა“. ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ კრასინის დეპეშა, რომლითაც ის გვატყობინებს რომ ამერიკის მთავრობა ფორმალურ გარანტიას იძლევა რომ ჩვენ შეგვიძლიან ხსენებული 20 მილიონი დოლარის საღირსადში სამი თვის განმავლობაში მივიღოთ სურსათი და სათესლე იმ შემთხვევაში, თუ ამავე მიზნისათვის ჩვენ გავიღებთ 10 მილიონ დოლარს, ე. ი. 20 მილიონ ოქროს მანეთს. ჩვენ ამ პირობას დაუყოვნებლად დავთანხმდით და ეს თანხმობა გადაცემულია დეპეშით. შეიძლება ითქვას, რომ ამ 30 მილიონი დოლარით, ე. ი. 60 მილიონ ოქროს მანეთით, ჩვენ შეგვიძლიან პირველი სამი თვის განმავლობაში დამშეულნი უზრუნველვყოთ სურსათითა და სათესლით. მაგრამ—რა თქმა უნდა ეს ცოტაა, ეს ვერ შეანელებს და ვერ დაჭარავს იმ საშინელ უბედურებას, რომელიც ჩვენ თავს დაგვატყდა. ყველაფერი ეს თქვენ ძლიერ კარგათ იცით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს მაინც დახმარებაა, რომელიც უეჭველად გააკეთებს თავის საქმეს ამ საშინელ შიმშილის საზარელ გაჭირვების შესუმბუქებაში. და თუ ჩვენ შემოდგომაზე შევძელით თვალსაჩინო გამარჯვების მიღწევა იმ მხრივ, რომ დამშეული ადგილები მოვამარაგეთ სურსათითა და სათესლით და საზოგადოდ გავაფართოვეთ დასათესი მიწების სიფრცე, ჩვენ იმედი გვაქს, რომ გაზაფხულზე უფრო მეტი გამარჯვების მიხწევა შეგვიძლიან ამ ნიადაგზე, შემოდგომაზე დამშეულ გუბერნიებში ჩვენ მიერ დათესილი იყო ზამთრის ხნულის 75 პროცენტი, ნაწილობრივად დამშეულ გუბერნიებში 126 პროცენტი. ყველაფერი ეს აშკარად მაჩვენებელია იმისა, რომ რამდენადაც უმძიმესი არ უნდა იყოს ჩვენი პირობები, მაინც ჩვენ გლახობას ასე თუ ისე დახმარება აღმოუჩინეთ დათესვისა და შიმშილთან ბრძოლის საქმეში. იმ პირობების მიხედვით, რომლებიც ამ ემად შეიქნა, ჩვენ სრულიად გადაუჭარბებლად უნდა მოველო-



დეთ, რომ აგრეთვე გაზაფხულის დათესვაშიაც არსებით დახმარებას გაუწევთ გლეხებს. ვიმეორებ, ეს დახმარება არავითარ შემთხვევაში არ იქნება სრული დახმარება. ჩვენ არავითარ შემთხვევაში საშუალება არ გვქონება მთელი გაჭირვების დაფარვისა. ეს უნდა ითქვას გარკვევით. და მით უმეტეს უნდა დავექიმოთ და ავამუშაოთ მთელი ჩვენი ძალღონე და ენერჯია, რომ ეს დახმარება გაიზარდოს და გაფართოვდეს.

ამიტომ, მე უნდა გავაცნოთ ის ჯამობრივი ციფრები, რომლებიც შეეხება ჩვენს სასურსათო მუშაობას. მტკიცება არ ესაქიროება იმას, რომ სასურსათო გადასახადმა საზოგადოთ მთლიანად გლეხთა მასებს შეუმსუბუქა მდგომარეობა. საქმე იმაში კი არ არის თუ გლეხს რამდენი პური გამოერთვა სასურსათო გადასახადის სახით, არამედ იმაში, რომ ამ გადასახადის სისტემის წყალობით გლეხი უფრო უზრუნველყოფილად ჰგრძნობდა თავს, და ამ მოვლენამ გამოიწვია ის, რომ გლეხი დაინტერესდა მეურნეობის აწევაში. ამ საანგარიშო წლის განმავლობაში სასურსათო გადასახადის აკრფის ჯამი ისეთია, რომ ჩვენ ყოველი ძალღონე უნდა მოვიკრიფოთ, რომ აქ არ წავიბოროძიკოთ. აი, ის ზოგადი და მოკლე ჯამობრივი ციფრები, რომლებიც მე თქვენ უნდა გავაცნოთ, და რომლებიც მიღებულია სასურსათო სახალხო კომისარიატიდან. ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა არა ნაკლებ ორას ოცდა ათი მილიონი ფუთისა, ჩვენ კი შეგვიძლიან მივიღოთ ორას თხუთმეტი მილიონი ფუთი. დეფიციტი მაინც არის, სათადარიგოდ არ მოიპოვება არც ერთი ფუთი. და ჩვენ არ ვიცით შევსძლებთ თუ არა მის შესყიდვას საზღვარ გარეთ.

ჩვენი სასურსათო გეგმა სასტიკ-გათვალისწინებით არის ნავარაუდევია. იმისთვის, რომ ყველაზედ ნაკლები სიმძიმე შიმშილისაგან დაზარალებულ გლეხობას დააწვეს, ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ცენტრალურ დაწესებულებებში მთელს ძალღონეს ვანდომებთ იმას, რომ სასურსათო გეგმა განხორციელდეს მინიმალურად. თუ 1920 წლის განმავლობაში სახელმწიფოს შესანახად ვხარჯავდით 38 მილიონს, ეხლა ჩვენ გადავწყვიტეთ 8 მილიონის დახარჯვა. აქედან დასკვნა მხოლოდ ერთია: სასურსათო გადასახადი უეჭველად უნდა აიკრიფოს, რადაც არ უნდა დაჯდეს ეს.

ჩვენ სრულიადაც არ გვაფიწყდება, რომ ეს აკრფა შიმშილისაგან დაზარალებულ გლეხობისათვის უდიდეს სიმძიმეს წარმოადგენს. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებმა უკვე იციან თუ რასაც ნიშნავს ამოცანა: საერთო მოსავლიდან 100 პროცენტი გადასახადის აკრფა, და ისიც ეხლა, დღევანდელს პირობებში. მაგრამ მე უნდა გითხრათ მთავრობის სახელით: ამხანაგებო, ეს ამოცანა უნდა შესრულდეს, ამ სიძინელზე უნდა წავიდეთ, ეს სიმძიმე აუცილებლად უნდა დავძლიოთ იმიტომ, რომ სხვანაირად ჩვენს ტრანსპორტს, ჩვენს მრეწველობას არ შეუძლიან უზრუნველყოფილი იყოს მინიმალურ და აბსო-

ლიუტურად აუცილებელის ბიუჯეტით, უზრუნველსა და ჩვენს პირობებში არ შეიძლება არსებობა ჩვენს პირობებში, რომელიც გარემოცულნი ვართ მტრებით, ჩვენს პირობებში, როდესაც საერთაშორისო წონასწორობა უაღრესად მერყევია. ჩვენთვის, რომელიც გვაწამეს იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებით, რომელიც მოგვზნამეს ყველა ქვეყნების მმართველმა კლასებმა, არ არის და არც შეიძლება იყოს გამოსავალი გარეშე უდიდეს სიმძიმეთა დაძლიებისა და გადატანისა. ამიტომ სრულიად გარკვეულად უნდა ვსთქვათ, უნდა ვსთქვათ და არ შეგვეშინდეს მწარე სინამდვილისა უნდა ვსთქვათ და დავადასტუროთ ამ ყრილობაზე, უნდა უთხრათ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს, უნდა უთხრათ მიუხედავად იმისა, რომ მათ უკეთესადაა აქვთ შეგნებული ეს სიმძიმე: ამხანაგებო, საბჭოთა რესპუბლიკის მთელი არსებობა, მთელი ჩვენი გეგმები, თვით ისეთი გეგმაც კი, როგორც არის ტრანსპორტისა და მრეწველობის აღდგენა—ნავარაუდევია იმის მიხედვით, რომ ჩვენ შევასრულებთ ჩვენს საერთო სასურსათო პროგრამას. ამიტომ სასურსათო გადასახადის აკრფა, რომელიც შეადგენს მოსავლის მეასედ პროცენტს, წარმოადგენს უდავო აუცილებლობას. შევხები რა ჩვენს სახელმწიფო გეგმას, მე დავიწყებ სათბობი მასალით, რომელიც მრეწველობისათვის შეადგენს „პურს არსებისას“, საფუძველს მთელი ჩვენი საწარმოვე მუშაობისას. მე უნდა მაგიჟითოთ ჩვენს სახელმწიფო საერთო გეგმის გამტარებელ კომისიის ანგარიშზე, რომელიც შედგენილია ელექტრო-ტენიკოსების ყრილობის შესახებ, რომელმაც მოგვცა სერიოზული და მდიდარი მასალა. ამ ანგარიშში თქვენ ნახავთ რუსეთის საუკეთესო სატენიკო და სამეცნიერო ძალების მიერ შემოწმებას იმ გეგმისას, რომელიც წარმოადგენს ერთად-ერთ მეცნიერულად დამუშავებულ, მოკლე და უახლოეს გეგმას ჩვენი მსხვილი მრეწველობის აღსადგენად, გეგმას რომელიც თავის განსახორციელებლად მოითხოვს არა ნაკლებ 10—15 წლისა. მე უკვე გითხარით და გამეორება აღარ არის საჭირო, რომ ჩვენს პრაქტიკულ მუშაობას სულ სხვანაირი დრო ეჭირვება, ვიდრე ეს საჭირო იყო პოლიტიკურ და სამხედრო დარკში. ჩვენ დაგჭირდება ამისათვის ანგარიშის გაწევა. კომუნისტური პარტიის მრავალმა ხელმძღვანელთაგანმა შეიტვისა ეს. საჭიროა რომ ეს ყველამ შეიტვისოს.

სხვათაშორის ამხანაგ კრიტიკოსების წიგნაკში „სახელმწიფო გეგმისათვის წარმოებულ მუშაობათა ანგარიშის შესახებ“—თქვენ დაინახავთ თუ როგორ არის დაყენებული საკითხი ჩვენი სახელმწიფო გეგმის შესახებ—ინჟინერთა და აგრონომთა კოლექტიური აზროვნების თვალსაზრისით. თქვენ დაინახავთ ისინი—ამ ჩვენთვის უცნობ თვალსაზრისის მიხედვით როგორა ვარაუდობენ იმას თუ სადამდის უნდა დავიხიოთ ჩვენ უკან. ეს თვალსაზრისი არ არის, როგორც მოგახსენეთ—პოლიტიკური ან ზოგადი ეკონომიკის თვალსაზრისი, არამედ იგი არის აგრონომებისა და ინჟინრების კოლექტიური გამოცდილების თვალსაზრისი,—ეს სა-

კითხი კი ბევრს აინტერესებს. ამ წიგნაკში თქვენ ნახავთ როგორც სახელმწიფო გეგმის გამტარებელ უწყების მოღვაწეობის რეზულტატს საანგარიშო წლის განმავლობაში, ისე საკითხების დაყენებას ჩვენი ტრანსპორტისა და მრეწველობის შესახებ ზოგადად და მთლიანად ცხადია რომ მე აქ საფუძვლით ვერ გადავიშლით ამ მუშაობის შინაარსს, მაგრამ მაინც მინდა ძლიერ მოკლედ შევჩერდე იმ საკითხის შესახებ, თუ როგორ პირობებშია სათბობი გეგმის საქმე, ვინაიდან საანგარიშო 1921 წლის დასაწყისში სწორედ ამ დარგში განვიცადეთ ყველაზე სასტიკი დამარცხება. სწორედ აქ, დავემყარეთ რა 1920 წლის ბოლოში საქმის გაუმჯობესებას, ჩვენ დაუშვიტ უდიდესი დაუდევრობა უსწოროდ გამოანგარიშების მხრივ, რის წყალობითაც 1921 წლის განაფხულზე საშინელი კრიზისის წინაშე დავდექით, კრიზისისა, რომელიც გამოწვეული იყო არა მარტო ნივთიერ საშუალებათა სიმცირით, არამედ იმითაც, რომ ჩვენ სისწორით ვერ ვივარაუდეთ განვითარების ტემპი. შეცდომა ჯერ ისევ მაშინ აღმოჩნდა, როდესაც ჩვენ პოლიტიკურ და სამხედრო პერიოდში შეთვისებული გამოცდილება გადავიტანეთ სამეურნეო ამოცანებზე. ეს იყო ფრიალ საგულისხმო შეცდომა, საფუძვლიანი შეცდომა, რომელსაც ჩვენ აქამდე ვიმეორებთ ყოველ ნაბიჯზე. ამ ჟამად ჩვენ ბევრი ისეთი შეცდომები გვაქვს, რომელთაც თუ არ შევივანებთ და რათაც არ უნდა დავვიჯდეს—არ შევეცდებით მათს გამოსწორებას, ჩვენ არ შეგვიძლიან შევქმნათ მტკიცე გაუმჯობესება სამეურნეო დარგში. ამ შეცდომის შემდეგ, 1921 წლის მეორე ნახევარში—ჩვენ სათბობის საკითხს დიდს სიფრთხილით ვეკიდებით: დაუშვებლად მიგვაჩნია თვით მცირედე გადაჭარბებაც და საზოგადოდ ვიბრძვით ყოველგვარ გადაჭარბების წინააღმდეგ.

ესლა კი, დეკემბრის ბოლოს, თუმცა ჯერ კიდევ არ არის სრული ციფრები, მაგრამ მაინც თითქმის სრულია ის ციფრები, რომლებიც მე შეპატუობინა ამხანაგმა სპილგამ, რომელიც ვანაგებს სათბობის შემკრფე ყველა დაწესებულებებს. მე შემიძლიან მოვიყვანო ეს ციფრები. ეს ციფრები გვაჩვენებს, რომ აქ ჩვენ დეფიციტი გვაქვს, მაგრამ იგი დეფიციტი სრულიად უმნიშვნელოა. სხვათაშორის ეს დეფიციტი გვარწმუნებს ჩვენი სათბობის ბიუჯეტის შინაგანი წყობილების გაუმჯობესებაში. ჩვენ ვრწმუნდებით სახელდობრ—იმაში, რასაც ტენიკოსები უწოდებენ მინერალიზაციას—ე. ი. ვრწმუნდებით რუსეთის მინერალური სათბობით მომარაგების გამარჯვებაში. და მხოლოდ მინერალურ სათბობზე და მოკიდებული მსხვილი მრეწველობის მტკიცედ დაყენება, რომელიც უნდა გადაიქცეს ბაზად სოციალისტური საზოგადოებისათვის. აი, როგორ იყო ჩვენგან ნავარაუდები 1921 წლის მეორე ნახევრის დასაწყისში სათბობის გეგმა. ჩვენ ვვარაუდობდით 273 მილიონი ფუთის მიღებას, ციფრები კი გვიჩვენებს, რომ მივიღეთ 234 მილიონ ფუთამდე. უდიდესი ნაკლებობა, რომელზედაც უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება.

სანგარიშო წლის განმავლობაში შევიქმნა მსხვილი ბის საქმის ჩვენ ძლიერ დიდს ყურადღებით მოვექცით. მაგრამ სწორედ ეს საბუზრო დაკავშირებულია გლეხის მეურნეობის მდგომარეობასთან. სწორედ აქ, გლეხსა და იმის ცხენს აწვევა მთელი სიმძიმე. აქ სათბობის ნაკლებობა, უსაქმელობა და სხ. ძლიერ გავლენას ახდენს საბუზროზე. აი, რითია გამოწვეული ნაკლებობა. და ესლა, როდესაც ჩვენ ვმყოფებით შეშის სათბობის საზამთრო კომპანიის პირველ პერიოდში, მე მაინც იძულებული ვარ მოგმართოთ: ამხანაგებო, წაიღეთ ადგილობრივ ლოზუნგები—ამ დარგში მთელი ძალღონის ამუშავებისა. ჩვენი სათბობის ბიუჯეტში ჩვენ მინიმალური რაოდენობით ვივარაუდეთ მხოლოდ ის, რაც აბსოლიუტურად აუცილებელია მრეწველობის აღსადგენად, მაგრამ ეს მინიმალური ბიუჯეტი აუცილებლად უნდა გავანაღლოთ, უნდა შევასრულოთ ეს ვარაუდი, რამდენადაც მძიმე არ უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა და მუშაობის პირობები. რაც შეეხება ნახშირს, ჩვენ ვივარაუდეთ რომ მივიღებდით 143 მილიონ ფუთ ნახშირს, ნამდვილად კი—ამ ჟამად ჩვენ მიღებული გვაქვს 184 მილიონი ფუთი ნახშირი. აქ ჩვენ მივალწიეთ გამარჯვებას, ჩვენ მივალწიეთ ჩვენი სათბობის მინერალიზაციის პროგრესს. ეს არის პროგრესი დონის აუზისა და სხვა მრავალ დაწესებულებათა, სადაც მთელი რიგი ამხანაგები მუშაობდნენ თავგანწირულად, რომელთაც მიღწიეს პრაქტიკულ რეზულტატებს. დონის აუზის შესახებ მე მოგიყვანო ორიოდ ციფრს, რადგან ეს არის საფუძველი, მნიშვნელოვანი ცენტრი მთელი ჩვენი მრეწველობისა. ნავთი ნავარაუდები გვქონდა 80 მილიონი ფუთი, რომელიც შეადგენს 120 მილიონ ფუთ ჩვეულებრივ სათბობს, ტორფი ნავარაუდები გვქონდა 24 მილიონი ფუთი, რომელიც შეადგენს 12 მილიონს, და მივიღეთ კი 50 მილიონი ფუთი. საერთოდ ნაკლი არის. თუმცა მართალია ეს ნაკლი არც ისე დიდია, შეიძლება იგი შეადგენდეს 3—4 პროცენტს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მაინც ნაკლია. უნდა აღვიაროთ, რომ ყველა ეს პირდაპირ მუქარას წარმოადგენს მსხვილი მრეწველობისათვის მით უმეტეს—თუ მცირედი რამ შეუსრულებელი დარჩება ნავარაუდებ ბიუჯეტში. მე ამ მაგალითით ვაჩვენებ, რომ ჩვენი სახელმწიფო გეგმის გამტარებელი დაწესებულებანი ტყუილად არა მუშაობდნენ, რომ უკვე დაიწყო ჩვენი გეგმის შესრულების პერიოდი. ამასთანავე ერთად დავარწმუნებთ იმაშიც, რომ ჩვენ ძლიერ-ძლივობით ვიწყებთ წელში გასწორებას, რომ ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის სიძნელე და სიმძიმე ჯერ ისევ არა ჩვეულებრივად დიდია. ამიტომ, ამ ყრილობის ძირითადი ლოზუნგი, ძირითადი საომარი ძახილი უნდა იყოს: „საჭიროა კვლავ ძალთა დაქიშვა სამეურნეო და სამრეწველო დარგში“. ამ ლოზუნგით უნდა აწარმოვოს და დაასრულოს ყრილობამ თავისი მუშაობა, და ამ ლოზუნგით უნდა დაბრუნდნენ ამხანაგები ადგილებზე. მუშათა და გლეხთა ხელისა უფლების შესანარჩუნებლად, მის განსამტკიცებლად და განსახორციელებლად არ არსებობს სხვა გამო-

სავალი, გარეშე შრომის გაძლიერებისა სამეურნეო-სამრეწველო დარგში.

ჩვენ ფრიად მნიშვნელოვან გამარჯვებებს მივაღწიეთ დონის აუზში, სადაც თავდადებითა მუშაობდა მრავალი ამხანაგი, მათ შორის ამხ. პიატაკოვი-მსხვილი მრეწველობის, ხოლო ამხ. უტიმოვიჩი წვრილი მრეწველობის დარგებში. ამ უკანასკნელმა მოახერხა წვრილი მრეწველობის მოწყობა ისე, რომ ამ მრეწველობამ ცოტაოდენი რამ მაინც მოგვცა. აქ მსხვილმა მრეწველობამ მიიღწია ომის წინა დროის ნორმის, რაც ჯერ პირველი შემთხვევაა ამ მხრივი მსხვილი მრეწველობის ნაყოფიერებისა. დონის აუზის მთელი წარმოება 1920 წელს გამოიხატა 272 მილიონ ფუთში, ხოლო 1921 წელს კი—ამ წარმოებამ მიიღწია 350 მილიონ ფუთს. ეს ციფრა მეტად მეტად აღემატება ომის წინა დროინდელ მაქსიმალურ ციფრასთან შედარებით. მაგრამ ეს მაინც ამტკიცებს წინ სვლას, ეს მაინც წინგადადგმული ნაბიჯია მსხვილი მრეწველობის აღდგენის საქმეში. და ჩვენ არ შეგვიძლიან დავინანოთ მსხვერპლი ჩვენი მსხვილი მრეწველობის აღსადგენად. ორიოდ სიტყვა მეტალურგიის შესახებაც. ამ მხრივ ჩვენც მდგომარეობა ძლიერ მძიმეა. ჩვენ ვრეწავთ სულ რაღაც ექვსიოდნე პროცენტს ომის წინა დროსთან შედარებით. აი, რა სილატაკმდე და განადგურებამდე ჩამოაქვეითეს რუსეთი იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა. მაგრამ ჩვენ კვლავ ფეხზედა ვსდგებით, ჩვენში იქმნებიან ისეთი ცენტრები, როგორც არის მაგ. „იუგოსტალი“ სადაც შეუღარებელის ერთგულებითა და თავგანწირულებით მუშაობს ამხანაგი ლევი. ჩვენი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ჩვენ აქ უდიდეს გამარჯვებას ვხედავთ. 1921 წლის პირველ ნახევარში ჩვენ გადავადნეთ 70 ათასი ფუთი თუჯი, ამ წლის ოქტომბერში კი 130 ათასი ფუთი, ხოლო ნოემბერში ჩვენ მიერ გადამდნარ თუჯის რაოდენობა უდრიდა 270 ათას ფუთს, ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტს. ამიტომ ჩვენ საბუთი არა გვაქვს რომ პანიკას მივეცეთ, ჩვენ ოდნავადაც არ ვატყუებთ თავს და არ ვმალავთ, რომ ის ციფრები რომლებიც მე მოგიყვანე არის უმნიშვნელო დღეობის ციფრები მაგრამ ჩვენ მაინც ამავე ციფრებით შეგვიძლიან ჯავამტკიცოთ, რომ რამდენადაც მძიმე არ უნდა იყოს 1921 წელი, რამდენი სიძნელეც არ უნდა გადავლობოთ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს, ჩვენ მაინც ფეხზედ ვდგებით. ჩვენ ვადგივართ სწორ გზას და შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ რომ ჩვენს ძალების დაქიმვას ამ დარგში უფრო დიდი წარმატება მოჰყვება შედეგად.

მე მინდოდა თქვენთვის მომეწოდებინა აგრედგეზოგიერთი ცნობები იმ შედეგების შესახებ, რომელსაც ჩვენ მავალწიეთ ელექტროფიკაციის დარგში. სამწუხაროდ ამ სფეროში ჯერჯერობით დიდი გამარჯვებისათვის არ მიგვიწევია. მე მინდოდა მეცხრე ყრილობასათვის მიმელოცნა მეორე მსხვილი ელექტრო-ცენტრის გახსნა, რომელიც ავგო საბჭოთა მთავრობამ: პირველი არის—„შატურკა“ ხოლო მეორე სულ ახალია, ეს არის კაშირის სადგური, რომლის გახსნაც ჩვენ დეკემბრისათვისა

გვქონდა ნავარაუდები. ამ სადგურს უპირველეს ყოვლისა მოსკოვისათვის შეეძლო მოეტანა ექვსი ათასი კილოვატი, რაც თვალსაჩინო დანახევებს შეუძლებელია იმ თერამეტი ათას კილოვატისათვის, რომელიც ჩვენ ამ ჟამად გვაქვს მოსკოვში. მაგრამ აქ მთელმა რიგმა დაბრკოლებებმა ხელი შეგვიშალა და ხსენებული ელექტრო-ცენტრის გახსნა დეკემბერში მოუხერხებელი შეიქმნა. იგი გაიხსნება ამ მოკლე ხანში, ყოველ შემთხვევაში არა უადრეს რამოდენიმე კვირისა. თქვენ აღბად წაიკითხავდით ერთ ანგარიშს, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნებული იყო გაზ. „ეკონომიურ ცხოვრებაში“ ინჟინერ ლევის ხელმოწერით, რომელიც არის ერთ ერთი თვალსაჩინო მუშაკთაგანი სრულიად რუსეთის ელექტროტენიკურ მერვე ყრილობისა. ამ ანგარიშიდან მე მოგიყვან რამოდენიმე მოკლე ციფრას: 1918 და 1919 წლების განმავლობაში ჩვენ გავიხსნია სულ 51 ელექტრო-სადგური 3 1/2 ათასი კილოვატის სიმძლავრისა, ხოლო 1920 და 21 წლების განმავლობაში კი ჩვენ გავხსენით 221 ელექტროანი-სადგური 12 ათასი კილოვატის სიმძლავრისა. თუ ამ ციფრებს შევადარებთ დასავლეთ ევროპასთან, მაშინ რა თქმა უნდა ეს ციფრები ციკქნად და გლახაკად მოგვეჩვენება, მაგრამ ეს ციფრები მაინც ამტკიცებენ იმას თუ როგორი წინსვლა ყოფილა შესაძლებელი იმ გაუგონარ სიძნელის პირობებში, რომლებსაც ჩვენ განვიცდით. არა ნაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე წვრილი ელექტრო-სადგურების გახსნამ სოფლად. გულახდილად უნდა ითქვას რომ აქ ხშირად ადგილი ჰქონდა დატაცებას, მაგრამ ეს დატაცებაც რამოდენადმე სასარგებლოა. ამ წვრილი სადგურების მეოხებით სოფლად შეიქმნა თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ცენტრები. თუმცა ეს უმნიშვნელო რეზულტატებია, მაგრამ ისინი მაინც აჩვენებენ გლეხს, რომ რუსეთი არ შეაბნელებს ხელით შრომას, და იგი წინ წავა, გათანამედროვეება და გლეხობაში თანისთანოაით ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ ჩვენ რუსეთს სხვა ბაზზედ დავაყენებთ.

ყველა ამას, როგორც უკვე გითხარით ათეული წლები ეჭირვება, მაგრამ მუშაობა მაინც დაწყებულია; გლეხთა მასებში საამისო შეგნება ფართოდება და ეს კი ხდება იმის წყალობით, რომ ხვენში წვრილი სადგურები უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე მსხვილი, მაგრამ თუ 1921 წელში ჩვენ დავვიგვიანდნ ერთი დიდი ელექტრო სადგურის გახსნა, სამაგიეროდ 1922 წლის დასაწყისში ასეთი სადგური ჩვენ ორი გვექნება: კაშირისა—მოსკოვის ახლოს და უტკინის პეტრობურგთან. ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ ჩვენ ისეთ გზას ვადგივართ, რომელზედაც ჩვენი წინსვლა უზრუნველყოფილია თუ ჩვენ წინანდელის ენერგიით განვაგრძობთ მუშაობას დასახულ ამოცანათა შესასრულებლად.

ამხანაგებო, მე მინდა თქვენი ყუადღება შევაჩერო ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის ერთ მდგომარეობაზე. უპირველეს ორიოდ სიტყვა ჩვენი გამარჯვების შესახებ ჯორჯის მომარაგების საქმეში. 1920 წლის განმავლობაში ტორფის ამოდ-

ბამ მიღწია 93 მილიონს ხოლო 1921 წელს კი ეს ციფრა გაიზარდა 193 მილიონამდე ეს ერთად ერთი დარგია, სადაც ჩვენ ვაუსწარით ომის წინა დროის ნორმას. ტორფის მხრივ ჩვენ უამრავი სიმდიდრე გვაქვს ისე, როგორც არც ერთს ქვეყანას. მაგრამ აქ გიგანტიური სიძნელე იყო და ამ ქამადაც არის. ეს სიძნელე გამოიხატება იმაში, რომ ტორფის ამოღება ძლიერ სამძიმოა. ტორფის ამოსაღებად ჰიდრაულიური საშუალებების გამოგონება, რომელზედაც მუშაობდნენ აშხ. რადჩენკო, მენშიკოვი და მოროზოვი — ძლიერ აადვილებს ამ სამუშაოს. ამ მხრივ მიღწეულია უდიდესი გამარჯვება. 1921 წელს მუშაობდა ორი ტორფ ნასოსის ე. ი. ტორფის ჰიდრაულიურად ამომღები აპარატი, რომელიც იხსნის მუშებს კატორღულ სამუშაოსაგან. ამ ქამად გერმანიაში შეკვეთილი გვაქვს და 1922 წელს მივიღებთ 20 აპარატს. ევროპის მოწინავე ქვეყანასთან თანაშემგობრობა უკვე დაიწყო. და ჩვენთვის ამიერიდან შესაძლებელი ხდება იმ საქმის განვითარება, რომლის გვერდის ახვევაც არ შეიძლება. ტორფის თადარიგი რუსეთში ყველა ქვეყნებზედ უფრო დიდია და ჩვენ საშუალება გვეძლევა ამ დარგში კატორღული მუშაობა უფრო ნორმალური მუშაობის ნიადაგზე დავაყენოთ.

ამ გარემოებას ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, ამ დარგში ჩვენ ძლიერ ბევრის გაკეთება შეგვიძლიან თუ შევიგნებთ და გავავრცელებთ იმ აზრს, რომ შრომის მეხანიზაციის წყალობით ჩვენ უფრო ადვილად შეგვიძლიან თავის დაღწევა ეკონომიური კრიზისისაგან, ვიდრე სხვა ქვეყნებს. კვლავ ორიოდ სიტყვა ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ საზოგადოდ მე მინდა ხაზი გაუსვა საქმის ერთ მხარეს. ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შეფასების დროს საკმარისი არ არის ყურადღება მივაქციოთ მარტო იმას, რაც განსაკუთრებით უფრო მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ეს საფუძველი არის მუშათა და გლეხთა კავშირი. საწარმოვო ძალების შეგნება უკვე დაიწყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით. არის კიდევ მეორე მხარე — შესწავლა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის ის ფორმა, რომელშიაც ჩვენ ნამდვილად შევისწავლით მეურნეობას. და მე კონკრეტულად მინდა შევეცადო რომ ეს საქმე ასე წარმოვიდგინო: რა თქმა უნდა მშრომელი მასსების კომუნისტურ ხელმძღვანელობისათვის.
(დასასრული იქნება).

მაზრისა და კალაიის რეკონსტრუქციის სახელმძღვანელო და მათი მოხელეობის პრილობა

მე-8 სხლომა 25 ნოემბერს საღამოთი.
(შემდეგი*)
თავმჯდომარეობს აშხ. ბ. კვიციანი.
თავმჯდომარე აუწყებს კრებას, რომ ამ სხლომაზე მოხსენებით უნდა გამოსულიყო პროფესიონალი ინჟინერები.
*) იხ. „მომავლური“ № 26.

ნალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელნი მაგარა ვინაიდგან მათი მომხსენებელი მზათა და აღმოჩენდა ამიტომ მოხსენებას წარუდგენს ყრილობას განათლების სახ. კომისარი ამ. კანდელაკი.

დღევანდელ სხლომაზე, მე განზრახვა არ მაქვს წარმოვიდგინოთ სრული მოხსენება განათლების კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ, ასეთ მოხსენებას კომისარიატი წარუდგენს სახალხო განათლების ადგილობრივ განყოფილებათა უფროსების ყრილობას, რომელიც გაიხსნება 30 ნოემბერს და რომელიც ვალდებული არიან გავაცნონ თქვენ ჩვენს მოხსენებას, დღეს მხოლოდ რამოდენიმე ფრიად მნიშვნელოვან პრაქტიკულ საკითხზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. პირველი საკითხია განათლების საქმის მდგომარეობა რესპუბლიკაში, რომელიც პირდაპირ კატასტროფიულია. ჯერ ერთი თვით სკოლების შენობების მდგომარეობა ძლიერ უმწყოა. შენობები უკვე რამოდენიმე წლის განმავლობაში არ შეკეთებულა, ადგილობრივი ინიციატივა არსად ხჩანს და სახელმწიფოს კი არავითარი საშვალეობა არ აქვს გაიღოს ამისათვის საჭირო თანხები, იმდენით დიდია მათი ჯამი. მაგალითად შორაპნის მაზრის სახალხო განათლების განყოფილებამ მხოლოდ სკოლების შესაკეთებლად 900 მილიონი მოითხოვა, ამ კატასტროფიული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი საშუალებაა ადგილობრივი ძალების ამუშავება, რაც თვით რეკონსტრუქციის უნდა იღვას თავს და ადგილობრივი საშვალეობებით, შეაკეთოს შენობები. რამდენადაც მე ვიცი კახეთის ბევრ სოფლებში მცხოვრებნი უკვე შეუდგნენ ამ საქმის მოგვარებას, აგრედვე ფართო ინიციატივას იჩენს ოზურგეთის მაზრაც და საჭიროა, რომ სხვა მაზრებმაც მიბაძოს მათ მაგალითს. არავითარი სხვა საშვალეობა ამ მნიშვნელოვან საქმის მოსაგვარებლად სახელმწიფოს დღეს არ გააჩნია.

მეორე არა ნაკლებ მწვავე საკითხია მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა. თითქმის 5-6 თვის განმავლობაში მათ არავითარი გასამრჯელო არ მიუღიათ სახელმწიფოსიგან, მოუხდლავათ ამისა ისინი მაინც განაგრძობენ თვის მოღვაწეობას; მე თვითონ ვნახე მასწავლებელი, რომელიც სრულიად დაფლეთილ ტანისამოსში და ფეხშიშველა ასწავლიდა მოწაფეებს. ამ უკანასკნელ დღეებში კომისარიატში იყო გორის მაზრის მასწავლებელთა დღეგაცნა, რომელმაც განაცხადა, რომ ისინი მზად არიან განაგრძონ მუშაობა, მაგრამ უკვე ფიზიკურად შეუძლებელი ხდება მეტი ვაჭირვების ატანა. მართლაც გორის მაზრაში თითქმის ყველა უწყებოს მოხელენი დაკმაყოფილებულნი არიან ჯამაგირით, ხოლო მასწავლებელთ 5 თვის განმავლობაში არავერი მიუღიათ, ვერც ამ საქმის მოგვარება შეუძლია განათლების კომისარიატს, რადგანაც იგი ყოველდღიურად იღებს 60 მილიონ მანეთს, რაც თვეში 1 მილიონად 800 მილიონს უღრის, მხოლოდ მასწავლებელთა ჯამაგირის დასაკმაყოფილებლად თვიურად საჭიროა 3 მილიონი. ამ საკითხსაც უნდა უღარესი ყურადღება მივაქციოს ადგილობრივმა რეკონსტრუქციის ყოველ სოფელს საუკეთესოდ შეუძლიან თითო

მასწავლებლის შენახვა. საქართველოს რევკომი ამ ქამად იხილავს ჩვენს პროექტს შკოლების რემონტისა და მასწავლებელთათვის ულუფის მიცემის ხარჯების სოფლის მცხოვრებლებზე გადატანის შესახებ. მაგრამ მის განხილვამდე უნდა ამუშავდნ ადგილობრივი რევკომები ამ საკითხების მოსაგვარებლად.

მესამე პრაქტიკული საკითხია პოლიტიკურ განათლების ადგილობრივ განყოფილებათა მდგომარეობა. მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, მათ რომ გაატარონ ადგილობრივ საბჭოთა აღმშენებლობის და წმინდა პარტიულ განათლების საქმე, ისინი უნდა გადაიქცნენ მასიურ ორგანიზაციის აპარატებათ. ჩვენის დაკვირვებით ადგილობრივ რევკომებს შეგნებული არ აქვთ პოლიტიკურ განათლების განყოფილებათა მნიშვნელობა და საჭიროა, რომ ცოტა მეტი ყურადღება და დრო მიექცეს ამ განყოფილებებს ადგილობრივ ძალებისაგან.

შემდეგ ამისა თქვენს წინაშე დაისმის პრინციპიული საკითხები სკოლის გადაკეთების დაწყებითი სკოლები ჩვენ გადავაკეთებ შრომის სკოლებათ. ტფილისში 250 ასეთი სკოლა არსებობს, ხოლო რესპუბლიკაში 3250; აქ ისწავლიან ბავშვები 15 წლამდე. სკოლის შემდეგი საფეხურია ტექნიკუმი, რომელმაც უნდა მოამზადოს მოსწავლენი პრაქტიკულ ცხოვრებისათვის; ტექნიკუმებს საფუძვლად უდევს პროფესიონალურ ცოდნის პრინციპი, 80% მათგანი სააგრონომია ტექნიკუმებია, რადგანაც საქართველო მიწადამულობელობის ქვეყანაა, შემდეგ მოდის პედაგოგიურ ტექნიკუმები და სხვ. ჩვენ შევიმუშავეთ სასწავლო პროგრამა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო წინანდელ პროგრამასთან და რომელიც უზრუნველყოფს უმტკივნელოდ გადასვლას ძველი სკოლიდან ახალი სასწავლო პრინციპებზე. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას აქ ვერ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. უმაღლესი სკოლა, როგორც ეკლესია, ყოფილთვის კონსერვატიზმის ბუდე იყო და ჩვენთვის გამოსადეგ საეკლესიის ტემის მისაღებად ჩვენ ყველაფერი დამუშავებული გვაქვს. უპირველესი ყურადღება პროფესიონალურ ტექნიკურ განათლებას ექცევა. ამ ღარში სერიოზულ შედეგებს მივაღწიეთ. ტფილისში გავხსენით 30 კურსები, რკინის გზელებისა, ცეცხლთან მებრძოლებისა, ასოთამწყობებისა, სტენოგრაფისტებისა და სხვა. მეორე რიგში განზრახულია ასეაივე კურსების მოწყობა პროვინციაში.

ამხანაგებო, განათლების მიზნების შესახებ, შეიძლება მთელი დღეები ვისაუბროთ, დასრულა განათლების კომისარია ამხ. კანდელაკმა თავისი მოხსენება, მაგრამ მას არაფითარი მნიშვნელობა არ მიეცემა, თუ დაძლიეულ არ იქნება ის პრაქტიკული საკითხები, რომლებზედაც ზემოდ შევაჩერე თქვენი ყურადღება. თუ პრაქტიკული საკითხები ვერ დავძლიეთ, ჩვენ ერთის მხრით ბავშვების დემორალის საციას ვიგეძებთ და მეორე მხრით საბოტაჟს და მასწავლებელის გაქცევას. ეს გამოკთილებამ დაამტკიცა. რუსეთში სკოლები დაინგრა, მასწავლებლებმა

მიატოვეს იგი და გადაწყვეტი ზომები უნდა მივიღოთ, რომ საქართველოშიც იგივე არ განმეორდეს, მომხენებელმა მიიღო მთელი რიგი შეკითხვებისა, რომელთაც ჯეროვანი პასუხი გაეცათ.

განათლების კომისრის მოხსენების შესახებ კამათი გაიმართა მე-11 სხდომაზე, 27 ნოემბერს.

ყველა ორატორი ერთხმად აღნიშნავენ განათლების საქმის კატასტროფიულ მდგომარეობას. ამხ. მამულია ყრილობის ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას რომ კომისარიატი იმ მკირე საშვალეებსაც, რომელსაც ის ღებულობდა, მიზან-შეუწონლად ხარჯავდა და მაგალითად მოჰყავს პოლიტიკურ განათლების მთავარი საშვართველო, რომელიც მისი მხრით შეიძლება სრულიადაც გაუქმდეს, რადგან მის მოვალეობას პროვინციაში უკეთ შეასრულებს ცენტრალურ კომიტეტის საავიტაციო განყოფილება.

ამავე საკითხს ეხება ამხ. გოგიაც და აღნიშნავს, რომ ცენტრში არსებობს სხვა და სხვა განყოფილებები თეო, მუზო და სხვ., რომელნიც ამ ბოლო დროს პროვინციებშიც ხსნიან განყოფილებებს, ლიდ მტატებს აგროვებენ და საჭიროა, რომ, თანამედროვე კრიზისის გამო, სრულიად ბოლო მოელოს მათ არსებობას. იგივე ამხ. აღნიშნავს თეატრის საქმის დაძაბუნებას პროვინციაში, რადგანაც მთელი ძალები ტფილისში შეაჯგუფეს და პროვინცია სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებულიო. იგივე ორატორები და აგრეთვე ამხ. ცნცაბაძე განმეორებით ხაზს უსვამენ მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობას და სკოლის შენობების სრულიად დანგრევას. ამხ. ქავთარაძე აღნიშნავს სოფლის ბიბლიოთეკების უყურადღებოდ მიტოვებას, ხოლო ამხ. მამულია წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის საქმის სუსტად დაყენებას.

განათლების სახალხო კომისარი თავის საპასუხო სიტყვაში აღნიშნავს, რომ ყრილობის წევრთა კრიტიკას უმთავრესად იწვევს კომისარიატის მიერ ფულის ნიშნების განაწილება და საზოგადოთ, მატერიალური მხარე. იგი ხაზს უსვამს, რომ განათლების კომისარიატი ყოველთვის ურად, დაახლოვებით მხოლოდ 5 პროც. იღებს იმ თანხისას, რომელსაც იღებენ ყველა კომისარიატები ერთად. ამ 5 პროც.-ით შესდგა სულ 4 მილიარდი და როგორ შეიძლება მით ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როდესაც მხოლოდ მასწავლებელთა ჯამაგირს თვიურად უნდა 3 მილიარდი, სრულიად წარმოუდგენელია. გარდა ამისა საზოგადოთ მიღებულ ფულების განაწილება სრულიად თანასწორად ხდება ყველა მაზრებს შორის და თქვენი საყვედურები სახალხო განათლების განყოფილებების უფროსებთან კონტაქტის უქონლობით აიხსნება (მაგალითად უჩვენებს, რომ ქუთაისის მიღებული აქვს 400 მილიონი, ბათუმს 300 და არის მაზრები, რომლებმაც ორასი მილიონამდე მიიღეს. ხოლო თუ ტფილისი მეტს ხარჯებს იწვევს ეს გასაგებიც არის, რადგანაც აქ არის ისეთი დაწესებულებები, როგორცაა უნივერსიტეტი, პოლიტექნიკუმი, მუზეუმები, ობსერ-

ვატარია და სხვ., რომელნიც ძლიერ დიდ ხარჯებს თხოულობენ.

რაც შეეხება შკოლეხის რემონტს, ეს თავიდანვე ცხადი იყო, რომ კომისარიატი ვერ შესძლებდა მათ შეკეთებას და ჩვენ უკვე 4-ჯერ დავგზავნეთ ცირკულიარი, რათა აღვიღოთ მრავალი შეცდომებით მოგვარებულიყო ეს საქმე და ახლაც უამისოდ შკოლეხის შეკეთებას არაფერი ვშეველება.

პოლიტიკურ განათლების განყოფილების ლიკვიდაციის გამო ამხ. კანდელაკმა განაცხადა, რომ განყოფილება კომისარიატს ადმინისტრაციულად ემორჩილება, ხოლო იდგურ ხელშეწყვეტილებას მას ცენტრალური კომიტეტი უწევს.

თავისი საპასუხო სიტყვის დასასრულ ამხ. განათლების კომისარმა ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად მატერიალური სახსარის ძლიერი სიმცირისა, კომისარიატმა მაინც დიდი მნიშვნელობის მუშაობა შეასრულა რადგანაც უკვე მოვეცა შრომის შკოლა გარკვეული გეგმით და პროგრამით, რომელიც სანიმუშოთ აზერბეიჯანმაც წაიღო. კაშათის დასრულების შემდეგ ყრილობამ 14 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 8 ხმისა, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „სამაზრო რეგკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების ყრილობამ, მოისმინა რა ამხ. კანდელაკის მოხსენება განათლების კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ, თანამედროვე მძიმე პირობებში, განათლების კომისარიატის მოღვაწეობა და მასწავლებლებს სცნო, ამასთანავე ყრილობა ხაზგასმით მიაქცევს კომისარიატის ყურადღებას პირველად წყებით სასწავლებელთა მდგომარეობას და მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობაზე ფულის ნიშნების განაწილების დროს“.

(დასასრული იქნება).

შეპითხვაჲი და პასუხი.

კითხვა პირველი: აქვს თუ არა უფლება მილიციის უფროსს დაატუსაღოს ადმინისტრაციული წესით მყუდროების დარღვევაში დამნაშავე, თუ კი იგი, მაშინ როცა მყუდროებას არღვევდა, მთავარი არ იყო?

პასუხი: მილიციის უფროსს აქვს უფლება, ადმინისტრაციული წესით დაატუსაღოს ყველა, ვინც კი დაარღვევს წესრიგს, მყუდროებას, მიუხედავად იმისა, მთავარი იქნება დამნაშავე თუ არა. მყუდროება შეიძლება ყველამ დაარღვიოს; მაგალითად ფეხზელი თუ ყვირის, ან ხმა მაღლა მღერის ქუჩაში, სასტუმროებში და სხ. მართო, ერთი გინდ რამდენიმე, ჯგუფად არღვევს საზოგადო მყუდროებას და მილიციის უფროსს, შეუძლია ასეთი პირი, ან პირები ადმინისტრაციული წესით დაატუსაღოს. საკითხის სიმძიმე აქ იმაში კი არაა, ვინ რა მდგომარეობაში არღვევს მყუდროებას არამედ იმაში რომ მყუდროება დარღვეულია. სიმთავრალის დაადგენებულ მდგომარეობაში

ყოფნას, მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს უკვე ამსუბუქებს დამნაშავის სასჯელს. *გიორგი ბერიძე*

კითხვა მეორე: შეიძლება თუ არა დაევალოს სახალხო მოსამართლეს სახალხო გამომძიებლის მოვალეობის შესრულება, უკანასკნელის ავთიმყოფობის, ან შეუბურობის დროს?

პასუხი: ყრილობას შეუძლია სახალხო მოსამართლეს დაევალოს გამომძიებლის მოვალეობის ასრულება შეკითხვაში მოყვანილი შემთხვევის დროს და აგრეთვე მაშინაც, როცა აღვიღოთ სხვა და სხვა მიზეზის გამო ვერ, ან არ იქნება დანიშნული სახალხო გამომძიებელი. მხოლოდ, როცა სახალხო მოსამართლეს დაეკისრება გამომძიებლის მოვალეობის აღსრულება, მას არ შეუძლია გაარჩიოს და განჩინება დაადგინოს მის მიერ გამოძიებული საქმეების შესახებ.

კითხვა მესამე: გასული წლის 7 ნოემბრის დადგენილებაში ამნისტიის შესახებ, მ. 4 პუნ. ბ. აღნიშნულია, რომ ამნისტია დამწყვედვისაგან განთავისუფლებისა, არ ვრცელდება „ბოროტ-განზრახულებითი სპეკულიაციის“ ჩადენაში დამნაშავეებზე. შეკითხვის ავტორი გვეკითხება: რას ნიშნავს ბოროტ-განზრახული სპეკულიაცია? არის თუ არა ბოროტ-განზრახული სპეკულიაცია, მაგალითად გიზანქა ხორცის, როცა ნიხრი იყო 1000 მან. ათას ხუთასად გაყიდვა? შესაძლებელია თუ არა ასეთი რამ ჩაითვალოს უბრალო სპეკულიაციად?

პასუხი: საერთოდ ვაჭრობას დიდი კავშირი აქვს სპეკულიაციასთან. მაგრამ ყოველგვარი ვაჭრობა არ ისჯება ხოლმე როგორც სპეკულიაცია. ბოროტ-განზრახული სპეკულიაცია არის მაგალითად, როცა რომელიმე პირი ან ჯგუფი შეისყიდის მრავლად ვალიუტას განსაზღვრულ დღეს არსებული დამალ ფასებში, ვალიუტის მოთხოვნილება და წინადადების შემცირება კი გამოიწვევს ვალიუტის გაძვირებას. ასეთი შემთხვევით სარგებლობს ვალიუტის შემსყიდველი და დიდის მოგებით გაჰყიდის მას. იგი არ ქმნის არავითარ ღირებულებას, იგებს დიდ ფულს და თან ასეთი თამაში ფასს უკარგავს ბონებს. ასეთი აწვე-დაწვევა, ტალღისებურია. ან და მაგალითად როცა შექარზე დაბალი ფასები იყო, ვინმემ, ან მთელმა ორგანიზაციამ (გიზანქა 10.000 მან.) შეისყიდა დიდძალი შექარი. ბაზარზე შექარი შემცირდა. მათ კი შექარი გასასყიდათ დიდხანს არ გამოიტანეს, რის გამო შექარის ფასმა ძლიერ აიწია, სპეკულიანტს-კი სწორედ ეს უნდა. ის ხელოვნურად იწვევს სიძვირეს და იათად ნაყიდ საქონელს გაჰყიდის ძვირად. საერთოდ ბოროტ-განზრახული სპეკულიაციის იურიდიული ზედმიწევნითი განმატება არ არსებობს, მაგრამ იგი შეიძლება დაგხასიათოთ, ისეთ რამეთ, რომელსაც მიზნად აქვს ყიდვა-გაყიდვა განსაზღვრული ღირებულების საქონლისა (ვალიუტის, ერთი რომელიმე სახელმწიფოს ბონების და სხ.) მოგების მისაღებად, ისეთი მოგების რომელიც შეიცავს ნაყიდი და გაყიდული ფასების



განსხვავებას. მაგრამ ხომ ასეთია ყოველგვარი ვაჭრობაც? მართალია, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ვაჭრობის დროს მოსალოდნელი მოგება ცოტათ თუ ბევრად ჩვეულებრივია; ნორმალური, საწარმოო მოგების მიღებით გათვალისწინებული, სპეკულიაცია კი ხასიათდება ერთგვარის რისკით, მის ახასიათებს სურვილი არა ჩვეულებრივი მოგების მიღებისა, თუმცა შეიძლება არა ჩვეულებრივი ხასიათის წაგებაც ნახოს. ყიდვას და გაყიდვასაც ასეთ შემთხვევაში აქვს სპეკულიატური, რისკის, გადავარდნის ხასიათი, სპეკულიაციის მიზანია ისარგებლოს ფასების სხვადასხვაობით დროის მიხედვით. შეკითხვაში მოყვანილი მაგალითი კი, გირვანქა ხორცის 1000 მან. მაგიერ 1500 მან. გაყიდვა არ შეიძლება ჩაითვალოს ბოროტ განზრახვითი სპეკულიაციით, აქ ჩვენ საქმე გვაქვს სავალდებულო დადგენილების, ნიხრის, დარღვევასთან. გარდა ამისა უნდა დაუმატოთ ისიც, რომ მოსამართლეს სინდისზეა დამოკიდებული, როგორ კვალიფიფიკაციას გაუკეთებს იგი კითხვაში მოყვანილ გარემოებას. მისი სინდისი ამ მხრივ სრულიად თავისუფალია...

კითხვა მეოთხე: სად უნდა გაგზავნოს სახალხო მოსამართლემ ასლი თავისი დადგენილებისა საღერბო წესდების დარღვევისათვის მხარეებისა დაჯარიმების შესახებ?

პასუხი: ასლი უნდა გაეგზავნოს მაზრის რევიკომთან ან (აღმასრულებელ კომიტეტთან) არსებული ფინანსთა კომისარიატის განყოფილებას.

კითხვა მეხუთე: ვინმეს სიკვდილის შემდეგ, თუ კი მას მემკვიდრედ მხოლოდ ქალიშვილები დარჩნენ, შეუძლიათ თუ არა ქალიშვილებს მიიღონ მემკვიდრეობა უძრავ მოძრავ ქონებაზე.

პასუხი: თუ ვინცოცაა ვინმე მოკვდა ისე, რომ ვაჟი არ ყოლია, ან და კიდევ რომ ჰყოლოდა, თუ კი ვაჟთან ერთად გარდაცვალებულს ქალიშვილებიც ყავდა, უკანასკნელნი მემკვიდრეობას ღებულობენ თანაბარი წესით, საბჭოთა ქონსტიტუციის თანახმად, სრულიად თანასწორად. კითხვაში აღნიშნული შემთხვევის დროსაც, ქალიშვილები შეუზღუდველნი არიან მემკვიდრეობის მიღებაში.

კითხვა მეექვსე: ქმრის სიკვდილის შემდეგ რა ეკუთვნის, დაქვრივებულ ახალგაზრდა ან მოზუცებულ მეუღლეს?

პასუხი: ქვრივი მეუღლზე, ხნოვანობის მიუხედავად, გადადის მემკვიდრეობით ყველა უფლება გარდაცვალებული მეუღლისა. ამ ორ უკანასკნელ კითხვის დროს არ უნდა დაგვაფიწყდეს შემდეგი გარემოება: მაგალითად ორივე შემთხვევაში შეიძლება სამემკვიდროდ დარჩენილ უძრავ-მოძრავი ქონება, არსებული კანონმდებლობის მიხედვით (მიწა, საქონელი და სხ.) დატოვებული ჰქონდა ოჯახს იმის ანგარიშით თუ რამდენი სული იყო ამ ოჯახში. თუ ოჯახში მხოლოდ სამი სული იყო და ყოველ მათგანს

კერძოდ მიწის დეკრეტის და მიწის კომიტეტის დადგენილების თანახმად, დაუტოვეს სულზე სამსამი დღიური, ან თითო ხარი და სხ. ცხადია, მემკვიდრეთ შეიძლება ჩამოერთვათ ნორმაზე მეტი მიწა, მაგრამ თუ კი უძრავ მოძრავი ქონება დაუტოვეს ოჯახს, მიუხედავად მისი წევრების რაოდენობისა, მაშინ ერთას სიკვდილს არ აქვს გავლენა სამემკვიდროს სივრცე-რაოდენობაზე, თუ სათანადო საკანონმდებლო აქტი არ შესცვლის არსებულ ურთიერთობას.

კითხვა მეშვიდე: ხშირად ხდება სოფელში, რომ გადააბრუნ ბენ მიწას სავენახედ, გააშენებენ ვნახს და შემდეგ კი ნახევარი თავისი მიწით და ვენახით რჩება საკუთრებათ მიწის მებაჟრონეს, და ნახევარი მუშას. დასაშვებია ეს თუ არა?

პასუხი: ამ საკითხს სავესებით არკვევს დღევანდელი კანონმდებლობა მიწის შესახებ. საკუთრება არც მებაჟრონესია, არც მუშის, ვინაიდან მიწაზე საქართველოში საკუთრება არ არსებობს; არის უფლება მფლობელობისა და სარგებლობისა. ეს კი განისაზღვრება იმით, მუშავდება მიწა თუ არა? როგორც კი მებაჟრონე, ვინდ მუშა, თავს შიანებებს მიწის დამუშავებას, იგი მასზე ჰკარგავს ყოველგვარ უფლებას. კითხვაში აღნიშნული გარემოება გულისხმობს კერძო შეთანხმებას. ასეთი რამ ეწინააღმდეგება კანონს. ნორმის ფარგლებში, მითვისება ძალით არ შეიძლება: თუ კი განსახილველ შემთხვევას ადგილი აქვს საბჭოთა მოსამსახურის, ან წითელ არმიელის ქონების მიმართ, მაშინ მათ ეძლევათ უფლება შეთანხმებათ (კანონისავე ფარგლებში) მოაგვარონ ნორმის დამუშავების საკითხი. დამუშავებელი უეჭველად მიიღებს ჰირანხულით სამუშაო ჰირას (თუ კი ეს კანონით არ იქნება აკრძალული).

კითხვა მერვე: შესაძლებელია თუ არა გაქირავების დროს მიწის გადაცვლა სახლზე?

პასუხი: ეს იგივე ყიდვა გაფიცვას უდრის და ჯერჯერობით, არსებულმა კანონმდებლობამ აკრძალა მიწის ყოველგვარი განსხვისება, მით უმეტეს ყიდვა. თუ ვინმე გაქირავებულ მდგომარეობაშია ადგილობრივი ხელის უფლების ორგანო ვალდებულია მას დახმარება აღმოუჩინოს ბინის და სხ. მიჩნით.

შენიშვნა: შემკითხველთა საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ხშირად მოგვდის სრულიად უაზრო და კერძო, პირადი ხასიათის შეკითხვა. სასურველია შემკითხველებმა ყურადღება მიაქციონ ისეთი კითხვებს, რომლებსაც სმერთო ხასიათი აქვთ.

მაზრის რეგულაციები.

გორის მაზრა

(დასასრული)

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენებას ხელს უშლიდა თანამშრომელთა უყოლობა. ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როცა რამდენიმე ისეთი თანამდებობა, რომელსაც არაფერი არ ჰქონდა საერთო ერთი მეორესთან, ერთ თანამშრომელს ეჭირა. ამის გამო და აგრეთვე იმ მიზეზითაც, რომ ცენტრთან კავშირი სუსტი იყო და ინსტრუქციებაც არ ქონდათ მიღებული, გასული წლის 15 მაისამდე მუშაობა არ ყოფილა. მხოლოდ შემდეგ დაეტყო გამოცოცხლება. მოხდა აფთიაქების ნაციონალიზაცია.

მთელს მაზრაში იყო 6 სამკურნალო პუნქტი. გაიხსნა 3 ახალი პუნქტი. პუნქტებს გარდა გაიხსნა რამდენიმე საავადმყოფო, სახელობრ ვ. ხოლოგის წინააღმდეგ მებრძოლმა განყოფილებამ ვენერული ზომები შიილა და ამან ხელი შეუშალა ავადმყოფობის გავრცელებას. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სამეურნეო ნაწილმა დიდი ენერჯია გამოიჩინა. მან დაარსების დროს ჩაიბარა სხვა და სხვა ნივთი და საქონელი 17168085 მან. ჯანმრთელობის კომისარიატიდან მიიღო სხვა და სხვა მასალა 24987250 მანეთის, ბორჩალოს მაზრას სასურსათო კომიტეტიდან 64000 მან. სურსათი, ამის გარდა შეძენილ იქნა შესყიდვის საშუალებით 964400 მანეთის სურსათი. 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე სულ ჯანმრთელობის კომისარიატიდან მიიღო განყოფილებამ მთელი მაზრისათვის 28000000 მან. ამის გარდა მოარულ ავადმყოფობათა წინააღმდეგ საბრძოლველად ავანსის სახით მიიღო იქიდანვე 10,000,000 მან. მასალა და საქონელი კი 25141250 მან.

საბეითლო დახმარებაც შეძლებისა და გვარად, კარგად იყო მოწყობილი. საავადმყოფოებიდან მუშაობს ვ. ეკატერინოფელდის ამბულატორიაში საბეითლო დახმარება აღმოჩენილ იქნა 178 შემთხვევაში, შულავერში—173—ჯერ და ბაშკიჩეთის—117 ჯერ, სულ 468 ჯერ. იყო შემთხვევები საქონლის სხვა და სხვა სახის ქირისა, მაკრამ გავრცელებას ხელი შეუშალა დროზე ზომების მიღებამ. დასაკლავი საქონელი გასინჯულ იქნა ეკატე-

რინოფელდში—139 სული, შულავერში—173 სული, კიჩეთში 17.

საბეითლო დახმარების სწორ ნიადაგზე დასაყენებლად აუცილებელ საქროებას წარმოადგენს შემდეგი ღონისძიებათა მიღება: ა) კიდევ ორი ბეითლის დანიშნა, ბ) მედიკამენტების და სხვა საქრო საგნების მოპარაგება, გ) შრატის დასამზადებელ სადგურისათვის 50 თავი საქონლის მოგროვება მცხოვრებთაგან, დ) გაღივება საქმის მწარმოებელთა და საერთოდ თანამშრომელთა, ე) საკანცელარია ნვეთების მიწოდება და სხ.

მაზრის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ანგ რიშიდან სჩანს, რომ მაზრაში, საანგარიშო ხანში განყოფილებას არავითარი არ გაუეთებია, იმიტომ რომ მას თანაგრძობლები არ ჰყავდა, აღვილებიდან არავითარ ცნობებს არ აწვდიდენ და სხ.

რაც შეეხება მილიციის უფროსის მოხსენებას, სჩანს რომ მაზრაში უკანასკნელ ხანებში ბანდიტიზმა იმატა. ამას ხელი შეუწყო იმანაც რომ მილიციის შემადგენლობა სუსტია: არა აქვს საცმელი, საქმელი, სამოგზაურო საშუალება, ბანდიტები კი უკეთეს პირობებში იმყოფებიან. დამხმარეც არავინაა. საქროა უფრო მკაცრი ზომების მიღება და მილიციის უზრუნველყოფა.

შრომის ინსპექტორის მოხსენება საინტერესო სურათს იძლევა მაზრაში შრომის მდგომარეობის შესახებ. განხილულ იქნა 84 კონფლიქტი, რომლის შესახებ საჩივარს აღძრავდენ ხოლომე დამქირავებელნი რამდენიმეთ ხელს უშლიდა დავის სწრაფად გარჩევას ის გარეობა, რომ დასაკითხავი პირები (მოწმენი) არ ეხადებოდენ დაბარებულ დღეს. რამდენიმე რაიონში ინსპექტორმა ვერაფერი გააწყო, რადგან აღგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ზაფხულში საილალოზე წასულიყვნენ. გოსარჩეს სახალხო მამულში მუშაობს 71 კაცი. ბევრი მათგანი მალარიით არის ავად, თითქმის ყველა შენობა მამულში შესაკეთებელია. კოლონიაში დათვალეირებულ იქნა 49 ბინა მოსამსახურეთა და უნდა აღინიშნოს რომ ბინები ძალიან ცუდია. ბევრი საჩივარი შემოდის მოსამსახურეებიდან, რომ ისინი ულუფას ვერ ღებულობენ და ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. სექტემბრის განმავლობაში შემოსული საჩივარი ყველა თავის დროზე იქნა განხილული. შემდგარია 4 აქტი. ბაშკიჩეთის რაიონში აღრიცხულ იქნა 11 დაწესებულება, წარმოება და ფერმა. სათბობი მასალის კრიზისია დე ამით ძალიან შევიწროვებულნი არიან თანამშრომელნი.




განმარტული

კომუნალურმა მეურნეობამ შომბე პირობების მიუხედავად შესძლო შემდეგი სამუშაოს ასრულება: დაამზადა 15 წყვილი ახალი წაღა, (აგვისტოს განმავლობაში), შეკეთებულ იქნა ძველი 25 წყვილი, სახელოსნოში მუშაობს 3 კაცი, ერთმა მეჩქემმა გააკეთა 30 წყვილი. სამკერვალო სახელოსნო ამზადებს მხოლოდ შემკვეთელთა მასალიდან. მკერავია 4, დამზადებულ იქნა 20-დე ხალათი და შარვალი. სამკედლომ დაამზადა 2 ფუთი ნალი, დასქედა 120 ცხენი, შინები გადააკრა 25 ბორბალს, შეაკეთა 15-დე—სულ მუშაობს 3 კაცი. სპარკმახერო მუშაობს საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეთათვის და წითელ არმიელებზე. სატრანსპორტო განყოფილება ძალიან სუსტია, რადგან არავითარი საშუალება არ არსებობს. ასეთივე სურათს იძლევა სექტემბრის მოხსენება კომუნალური მეურნეობის განყოფილებისა.

სახალხო განათლებს ს საქმეში საერთოდ მთელ მაზრაში, იმ პირობებშიც კი, რომელშიც საერთოდ მაზრა იმყოფებოდა, ცოტა რამე არ გაკეთებულა. განყოფილებამ შეადგინა სწორი ქსელი

სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობის და სქესის მიხედვით. ანკეტის საშუალებით გამოირკვა სკოლის შენობების მდგომარეობა. დღეს ბორჩალოს მაზრაში არის 36 სკოლა, ამათგან ქართულია 5, რუსული 4, სომხური 4, ბერძნული 4, გერმანული—2 თათრული 17. ამათგან რასაკვირველია ყველა არ მუშაობს, რადგან მასწავლებლები არაა. მიღებულ იქნა ზომები სახელმძღვანელოების შესაძენად და დღეს ქართულ, რუსული და სომხური სკოლები, სავსებით უზრუნველყოფილია ამ მხრივ. საკანცელარიო ნივთების შესახებაც მიღებულია ზომები და სკოლები მალე იქნება დაკმაყოფილებული. სკოლების შენობის შესაკეთებლად საჭიროა 250 მილიონი. მიღებულია ზომები აღრიცხულ იქნენ წერაკითხვის უკოდინარონი.

ფინანსური განყოფილებამ მოხსენებიდან სჩანს რომ აგვისტოში მათ მიუღიათ 50,000,000 მ. სალდო. 8 სექტემბრისათვის იყო 45,990,712 მ. 10 კაპ. აგვისტოს განმავლობაში დაიხარჯა 14,804,083 მ. 14 კაპ.





გ ა ნ ც ხ ა დ ე გ ა ნ ი

დაპაპარბე პირადობის მოწმობა, მიღებული მილიციის მთავარ სამმართველოს კანცელარიიდან მნავაკან ბაღდასარის ძე ზარაფიანცის სახელზე 1921 წლის 20 დეკემბრის თარიღით. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1-1).

დაპაპარბე პირადობის მოწმობა № 4758, მოცემული 26 თებერვალს 1922 წ. თბილისის მილიციის მთავარ სამმართველოსაგან ს მონ ნესტორის ძე ჯაყელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1-1).

დაპაპარბე პასპორტი, მიღებული ტფილისის მილიციის მთავარ სამმართველოსაგან 1917 წელს გარეგინ ენოქს ძე მიკირტიჩიანის (იგივე შაგრიარსკის) სახელზე № 4716. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1-1).

დაპაპარბე პირადობის მოწმობა (უვადო პასპორტი) მიღებული ტფილისის პოლიცემისტრის კანცელარიიდან 1899 წლის თარიღით № 2185. ერასტი ივანეს ძე ჭავჭავანიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. (1-1).

დაპაპარბე სარეგისტრაციო ბარათი მიღებული საქართ. სამხედრო კომისარიატიდან № 133 კონსტანტინე კაზიმირის ძე კუჩინსკის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1-1).

დაპაპარბე პატენტი, გადასახადის კვიტანცია, ვაჭრობის ნებართვის, დუქნის ქირის კვიტანცია და სარეგისტრაციო ბარათი, მოცემული ქალაქის რევკომიდან არშავირ მანუქის ძე ჩიჩიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1.

დაპაპარბე პირადობის მოწმობა, მოცემული 1921 წ. რუსული ეროვნული საბჭოსაგან მიხეილ ფეჭემის ძე ვოლფენზონის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1

დაპაპარბე პირადობის მოწმობა, მოცემული მაიკოპის შტაბის მილიციისაგან ნიკოლოზ ნიკიტას ძე გალკინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1

დაპაპარბე უვადო პასპორტი, მოცემული 1918 წ. ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ ილია მოსეს ძე ოკუნის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1

დაპაპარბე პირადობის მოწმობა, მოცემული ხევის რევკომის (ოზურგეთის მაზრის) სამათრველოსაგან და პარტიული მანდატი № 53, მოცემული ოზურგეთის აღმუსხველ კომისიისაგან გიორგი ექვთიმეს ძე ჯინჭარაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1

გ ა ნ ც ხ ა დ ე გ ა .

ტფილისის სამოსამართლო ოლქის ახალციხის პირველი სამოსამართლო უბნის სახალხო მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულთა მემკვიდრეებს:

1) 1905 წლის 17 იანვარს გარდაცვალებულ ახალციხის მოქალაქე თაქუა ბაღდასარის ასულ ბახინიანცისა და

2) 1921 წ. 31 ივნისს გარდაცვალებულ ახალციხის მოქალაქის რიფსიმე მოსესის ასულ მირაქოვის მემკვიდრეებს რომ მათ კანონით დაწესებულ დროის განმავლობაში განაცხადონ თავიანთი უფლება ზემოხსენებულ პირთა გარდაცვალების შემდეგ დატოვებულ მემკვიდრეობაზე.

ახალციხის პირველ სამოსამართლო უბნის სახალხო მოსამართლე **ღვინია შვილი**.

ახალციხის მაზრის სამოსამართლო ნაწილის სახალხო მოსამართლე იწვევს 1917 წლის 1-ლ ოქტომბერ გარდაცვალებულ ქ. ახალქალაქის მოქალაქის კარაბეტ ბაღდასარის ძის მოსესოვის მემკვიდრეს. ხსენებულმა მემკვიდრემ კანონით დაწესებულ დროის განმავლობაში უნდა განაცხადოს უფლება კარაბეტ ბაღდასარის ძის მოსესოვის გარდაცვალების შემდეგ დატოვებულ მემკვიდრეობაზე. ახალციხის რაიონის პირველი სამოსამართლო ნაწილის სახალხო მოსამართლე **ღვინია შვილი**. მდივანი: პ. აკოპოვი.